# ლელო

№ 11
(11 263)

12 – 15 თებერვალი, 1999 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ბრაზილია — არა მხოლოდ ჩემპიონით.

იხ. მე-3 გვ.

# ახალი ამბები სფფ-დან

### უეფა უხმობს თავის წევრებს და „სამსჯავროზე" ბლატერსაც იწვევს

სფფ-ს პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ მიიღო ფაქსი უეფადან, რომელიც იტყობინება, რომ იგი მიწვეულია უეფას წევრი ქვეყნების საფეხბურთო ასოციაციების პრეზიდენტების შეხვედრაზე, რათა ერთობლივად განიხილონ ბლატერის იდეა — ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ჩატარების თაობაზე. შეკრებაზე მიიწვიეს სიახლის ავტორი და ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი. ჯერჯერობით არაა ცნობილი ბლატერის მხრიდან რა რეაქცია მოჰყვა ამ მიწვევას, რომელსაც სამსჯავროს სუნი დაჰკრავს. მაგრამ მიიღებს კი ბლატერი გამოწვევას?

### ტაილანდელებთან ურთიერთობა ისევ ბოდიშით დამთავრდა

რამდენს არ ეცადა სფფ და საქართველოს ეროვნული ნაკრების მენეჯერი, რომ ტაილანდში ტურნირზე ესპარეზა ჩვენს გუნდს, საბოლოოდ მაინც არაფერი გამოვიდა. მასპინძლებმა ერთხანს გზის ხარჯების ლიმიტი მოიმიზეზეს, მაგრამ, როცა შეატყობინეს, რომ ზედმეტ ხარჯებს სფფ თავად გაიღებდა, უარი აღარ შემოუთვლიათ. საბოლოო პასუხის მოლოდინში კი ჩვენმა ნაკრებმა სამგზავრო ბილეთებიც შეუკვეთა და სფფ ლეგიონერებსაც შეეხმიანა. იმ საფეხბურთო კლუბებიდან, სადაც ჩვენი ბიჭები თამაშობენ, თითქოს პირი შეკრესო, ყველამ ერთნაირი თხოვნა შემოთვალა — ამხანაგური თამაშებისთვის თქვენს ფეხბურთელებს ნუ მოაცდენთ, აქ უკეთ ემზადებიანო. თითქოს მათ გულიც უგებდათ, რომ ტაილანდის ტურნირში მონაწილეობა არ გამოვიდოდა. მოკლედ, როცა ერთი ვაკანტური ადგილის დაკავების არჩევანზე მიდგა საქმე — ბრაზილია თუ საქართველო, ცხადია, ტაილანდელებმა ბრაზილია აირჩიეს. როგორც ჩანს, ბრაზილიელებისადმი ცდუნებამ სძლია ჩვენი მენეჯერის ძალისხმევას.

### მსაჯებს კენჭისყრით საჯაროდ დაასახელებენ

მოახლოვდა ფეხბურთში საქართველოს თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩები. იმისათვის, რომ ძირშივე აღიკვეთოს მითქმა-მოთქმა „ჩაწყობილი მსაჯობის" შესახებ, სფფ-მ გადაწყვიტა 16 თებერვალს, 12 საათზე, ღიად და საჯაროდ ჩაატაროს მეოთხედფინალური მატჩების მომსახურე მსაჯების წილისყრა.

### მსაჯი ჯერ უნდა გამოსცადო..

გუშინ, თბილისში, ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე საგანგებო კომისიამ ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის მომსახურე მსაჯების ორკვირიანი სემინარი არბიტრების მიერ პრაქტიკული ნორმატივების ჩაბარებით დაასრულა, დღეს კი მათ თეორიულ საკითხებში ელით გამოცდა სფფ-ში. დღესვე, საღამოს, ვინც წარმატებით გაართვა თავი გამოცდებს, საზეიმოდ გადასცემენ შესაბამის ლიცენზიას. მარტში დაიწყება მსაჯების მომზადება-გადამზადების მეორე ეტაპი II ლიგის არბიტრებისთვის. მსაჯებისთვის ანაზღაურებაც იმის მიხედვით დაწესდება, თუ როგორ უნარს და ცოდნას გამოავლენს თითოეული.

# ეროვნული ბანკი გულქვა სულაც არ ყოფილა

ქართული სპორტის გაჭირვება და, თქვენ წარმოიდგინეთ, ხსნის გზაც, საქართველოს ეროვნულ ბანკთანაა დაკავშირებული. ჩვეულებრივი მოვლენაა, ფული არის (ბიუჯეტში), მაგრამ პრაქტიკულად არ არის. არადა, საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებს შენი გაჭირვების გამო არავინ გადადებს. იქ არ დაგელოდებიან, თუ ჩახვალ, ხომ კარგი, არ ჩახვალ და... არც ისეა საქმე, ზოგს, რომ ჰგონია, არ ჩახვალ და იმხელა ჯარიმას დაგადებენ, რაც გამგზავრება დაგიჯდებოდა, მოგონილი იქნება იმასთან შედარებით.

აი, ასეთ არაორდინარულ (თუმცა, ჩვენთვის ჩვეულებრივ) სიტუაციაში აღმოჩნდნენ გუშინწინ ჩვენი ძიუდოისტები და მკლავჭიდელები. კიდევ კარგი, ეროვნულ ბანკში გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც გულთან ახლოს მიიტანეს ცაიტნოტში ჩავარდნილი ჩვენი ნაკრები გუნდებისა და მათი ხელმძღვანელების გამოუვალი მდგომარეობა. სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ჩარევით და ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის დავით ჯილაურის ხელშეწყობით, ბანკის საოპერაციო სამმართველოს უფროსმა ომარ ჩიტიძემ და მისმა მოადგილემ ზაურ სოხაძემ ოპერატიულად მოაგვარეს ყველა პრობლემა. მადლობა მათ!

## დაჯილდოება

საქართველოში მძლეოსნობის განვითარებაში შეტანილი წვლილისა და დაბადებიდან 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის თავმჯდომარე ***თამაზ მდინარაძე*** დაჯილდოვდა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის საპატიო სიგელით.

* * *

გუშინ ***თამაზ მდინარაძეს*** ფაქსით დაბადებიდან 50 წლისთავი გულთბილად მიულოცა თავისმა მეგობარმა, მძელოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა პრიმო ნებიოლომ, სხვადასხვა ქვეყნის კოლეგებმა.

* * *

პოლიტიკური გაერთიანება „სპორტული საქართველოს" თბილისის ორგანიზაცია დაბადებიდან 50 წლისთავს ულოცავს გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილეს ***თამაზ მდინარაძეს.***

# ორი ოქრო და ბრინჯაო

*მსოფლიო საჭიდაო სამყაროში დიდად პოპულარულია ირანელი ფალავნის, ოლიმპიური თამაშების და ორგზის მსოფლიო ჩემპიონის გულამ-რეზა ტახტის (1930-1969) ტრადიციული მემორიალი. ეს საერთაშორისო ტურნირი ერთდროულად ტარდება, როგორც ბერძნულ-რომაულ, ისე თავისუფალ ჭიდაობაში. ირანიდან მიღებული ცნობით, ჩვენმა „კლასიკოსებმა" ტურნირში ორი ოქროს და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ბადრი ხასაია (76 კგ) და გიორგი წურწუმია (მძიმე), მესამე საპრიზო ადგილი ხვდა გიორგი რურუას (85).*

*ასპარეზობას აგრძელებენ თავისუფალი სტილის მოჭიდავეები. აქ ჩვენი ქვეყანა მეორე ეროვნული ნაკრები გუნდითაა წარმოდგენილი.*

ტურიზმი — გზა პროგრესისაკენ

# აღორძინება ბაგებიდან იწყება

ჩვენთვის ბევრი რამ არის ახალი ხილი, მათ შორის ტურიზმის ინდუსტრიის თანამედროვე მოთხოვნების დონეზე წარმართვა მსოფლიო პროცესებში ინტეგრაციის გზით. ისე, რომელ ინდუსტრიაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი, როცა ჯერ ჩვენში მისი ჩანასახის დონეზეც არ ვდგევართ წელგამართულნი. და აი, სწორედ იმისათვის, რომ გავიაროთ ევოლუციის გზა ჩანასახიდან სრულყოფილ განვითარებამდე, საჭიროა გადაიდგას პირველი პრაქტიკული ნაბიჯები მაინც, რით დავიწყოთ? ამ კითხვაზე, ვის თუ არა, საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტს უნდა გაეცა კომპეტენტური პასუხი. გასცა კიდეც. გადაწყდა — წლეულს თბილისში, 22-25 აპრილს ჩატარდეს კავკასიის საერთაშორისო ტურისტული ბაზრობა, რომელიც ფაქტობრივად ჩვენში და ალბათ მთელს კავკასიაში ჭეშმარიტი ტურისტული ინდუსტრიის განვითარების სასტარტო ღონისძიებად უნდა იქცეს. ასეთი ბაზრობა მსოფლიოს ტურიზმის აპრობირებული გზაა საყოველთაო ინტეგრაციისაკენ და, რაც ყველაზე მთავარია, ბაზრობა წარმოაჩენს ამა თუ იმ ქვეყნის ტურიზმისა და კურორტების პოტენციურ შესაძლებლობებს თავისი ინფრასტრუქტურით. ზემოთქმულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, ყველასათვის გასაგებია, რაოდენ დიდია თბილისში დაგეგმილი ბაზრობის მნიშვნელობა. სწორედ მისი უდიდესი როლის აღიარებაა იმის დასტური, რომ იდეას საქართველოს პრეზიდენტის საგანგებო ბრძანებულება მოჰყვა, ბაზრობისთვის მზადებაში კი აღმასრულებელი სტრუქტურებიც ჩაერთვნენ.

ბაზრობისთვის მზადებასთან დაკავშირებით გუშინ პირველი პრესკონფერენცია გაიმართა ზემოხსენებულ დეპარტამენტში (ბაგებში), რომლის თავმჯდომარემ ვაჟა შუბლაძემ ვრცლად და ამომწურავად წარმოაჩინა ჩანაფიქრი და მისი რეალიზაციის გზები. ღონისძიების მაღალორგანიზებულ დონეზე ჩატარებაში, პრეზიდენტის ბრძანებულებით სახალხო მეურნეობის ყველა დარგმა უნდა შეიტანოს თავისი წვლილი. და ეს არ იქნება მხოლოდ ბაზრობა, იგეგმება და მის ჩარჩოებში მოთავსდება სხვადასხვა კულტურული, სამეცნიერო და, თქვენ წარმოიდგინეთ, პოლიტიკური ულერადობის ღონისძიებებიც კი.

ვარაუდობენ, რომ ბაზრობაზე თავიანთი მიღწევებით და პერსპექტივებით თავს მოიწონებენ 15-20 ქვეყნის წარმომადგენლები „დასაწყისისთვის ესეც კარგია" — თქვა ვაჟა შუბლაძემ, მას ღრმად სწამს, რომ ჩვენი ბაზრობა ტრადიციად იქცევა და ახლო მომავალში არანაკლებ პოპულარული და შინაარსიანი გახდება, ვიდრე მსოფლიოს ნებისმიერი, უკვე აღიარებული ბაზრობა.

თბილისის ბაზრობის მომზადება-ჩატარებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან არც ერთ თეთრს არ გაიღებს. მთელ ხარჯებს გასწევს სააქციო საზოგადოება „ექსპო-ჯორჯია", რომლის პრეზიდენტია კახა გველესიანი. ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტთან ერთად, პრეზიდენტის ბრძანებულებით, სწორედ „ექსპო-ჯორჯია" წყვეტს ბაზრობასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ საკითხებს.

„ლელო" სისტემატურად და ფართოდ გააშუქებს ამ ღონისძიების მოწყობა-ჩატარების პროცესებს.

**საკუთარი ინფორმაცია**

## დუელი ამხანაგურად

ირანელთა საფეხბურთო ტრადიციები (ისინი ხომ რამდენიმეჯერ მონაწილეობდნენ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე) გვაიმედებდა, რომ ჩვენს მინიფეხბურთელთა ეროვნულ გუნდს სპარსები ამხანაგურად, მაგრამ კარგა მაგრად გაუძალიანდებოდნენ. თუმცა, სპორტის სასახლეში კანტი-კუნტად დამსწრე გულშემატკივარმა დიდი ვერაფერი სანახაობა იხილა. გუშინწინ ჩვენებურებმა ადვილად სძლიეს სტუმრებს 4-1. ჰეთ-თრიკი შეასრულა თბილისის „ლოკომოტივის" ყოფილმა მოთამაშემ მიზანდარმა (5, 17, 35), ერთი გოლიც ზოიძემ შეაგდო (17), სპარსთაგან კი მეჰმანდუსტმა გამოიჩინა თავი (35).



*იტალიური „ვენეციის" ბრაზილიელი ლეგიონერი ტუტა სკანდალში გაეხვია — მას მოლაპარაკებითი მოწყობის თანამონაწილეობაში ედება ბრალი. ამ ფოტოზე ის კლუბის წარმომადგენლებთან ერთად „მიიჩქარის" დაკითხვაზე.*

გუშინ ირანელთა ეროვნული გუნდი უფრო მობილიზებულად, შეუპოვრად დაუდგა ჩვენებურთ. პირველი ტაიმი (ანუ პირველი 20 წუთი) უშედეგოდ დამთავრდა. 33-ე წუთზე კი გამოცდილმა ბუბა ტყავაძემ გახსნა ანგარიში. სტუმრებმაც ცენტრიდან განაახლეს თამაში და პირველივე შეტევაზე ანგარიში გაქვითეს (რეზაიქემალი). მაგრამ მასპინძლები არ შედრკნენ და რამდენიმე წამში ზოიძეს გოლით დაწინაურდნენ კიდეც. ამ მძაფრი და შედეგიანი წუთის თუ წუთნახევრის შემდეგ თბილისის სპორტის სასახლეში საინტერესო არაფერი მომხდარა — საქართველოს ნაკრებმა მეორე ამხანაგური მატჩიც მოუგო სპარსელებს 2-1.

თემა განსჯისათვის

# ფუნქცია

### სამწუხაროდ, დღეს ბევრი სპორტული სკოლა დგას ფუნქციის დაკარგვის საფრთხის წინაშე

*ვიყოთ რეალისტები და სიმართლეს თვალებში ჩავხედოთ. საბჭოთა ხელისუფლებიდან მემკვიდრეობით მიღებული ბევრი სხვადასხვა პროფილის სპორტული სკოლა, კარგა ხანია არსებობისათვის იბრძვის და ამ ბრძოლაში თანდათან ულმობლად მარცხდება. სპორტული ბაზების პრობლემა, უინვენტარობა და კადრების განუწყვეტელი დენადობა, რაც მთავარია, უსახსრობა, ნელი სიკვდილით კლავს ქართული სპორტის საიმედო რეზერვს. ბევრგან სპორტული სკოლები მხოლოდ ქაღალდზე შემორჩა ხსენებულ მიზეზთა გამო. ჩაიძირა ყველანაირი იმედი, ზოგან, განსაკუთრებით რაიონებში განათლების სისტემის სპორტულ სკოლებს დირექტორიღა შემორჩა. მისი პასუხისმგებლობა კი მინიმუმამდეა დასული, რადგან ყველა ინსტანციაში დაბლიდან — განათლების სამინისტროს ჩათვლით, შეგუების პოლიტიკას ადგანან.*

*დღეს ერთ კონკრეტულ მაგალითზე შევჩერდებით, რომელიც იმის ნათელი დასტურია, რომ თუ განათლების სამინისტრო ასეთ გულგრილობას იჩენს თავისსავე ბიუჯეტზე მყოფ სპორტული სკოლის მიმართ, თანაც ეს სკოლა, როგორც იტყვიან, ცხვირწინაა, აგერ, თბილისში, რაღა იქნება სხ-*

იხ. მე-2 გვ.



კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

### XIV ტური

აზოტი — თსუ 113-85
დინამო — სდასუ 75-74
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი — შევარდენი 106-85.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფენიქსი (პირველი გვერდიდან)

ვაგან. საცხენოსნო სპორტულ სკოლაზე მოგახსენებთ, რომლის გახსნით, თავის დროზე, უდიდესი ეროვნული საქმე გაკეთდა. „ლელომ" ჯერ კიდევ ამ რამდენიმე წლის წინათ დასვა საკითხი, რომ ხსენებული სკოლა გადაკეთებულიყო სპორტის ეროვნულ სახეობათა და ხალხურ თამაშობათა სკოლად — გაფართოებულიყო მისი პროფილი. დაგვერწმუნეთ, ეს იქნებოდა არა სკოლა, თავისი მნიშვნელობით, არამედ ეროვნული საგანმურის აკადემია, მაგრამ, ვინ გისმინა. ჰოდა, დარჩა ახლა ეს სკოლა თბილისის იპოდრომზე, როგორც ყველგან, პირველყოვლისა, პატრონისაგან მიტოვებული და მიუსაფარი. იმედია, იპოდრომს სასაფლაოდ, ახალ პანთეონად არ აქცევენ, როგორც ზოგიერთს სურს. ცხენების სულადობის კატასტროფულ შემცირებაზე აღარაფერს ვამბობთ, მწვრთნელ-მასწავლებლადაც აღარავის უნდა მუშაობა, მიზეზი? დაუფინანსებლობა! სკოლა დახურვის პირასაა. ჩვენ კვლავ ძველ მოსაზრებას ვუჭერთ მხარს სკოლის ფუნქციის შეცვლასთან დაკავშირებით, მაგრამ გაჩნდა ახალი იდეაც — გადაეცეს იგი, რომელიმე სახელმწიფო დაწესებულებას, როგორც ეს სპორტის დეპარტამენტმა დროულად გააკეთა შინაგანი ჯარებისათვის თავისი საცხენოსნო ბაზის გადაცემით, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო, ან შეუერთდეს ამავე სამინისტროს ეროვნულ თავდაცვით სასპორტო სკოლას. რატომ ამ სკოლას? იმიტომ, რომ სკოლას ფუნქცია არა თუ შეუნარჩუნდება, ახალი ამოცანაც გაუჩნდება — მოამზადოს ჩვენი სასაზღვრო ჯარებისათვის კადრები. ჩვენი საზღვრების აბსოლუტურ უმრავლესობაში ხომ ცხენებიც ჰყავთ. კიდევ უკეთესი თუ სპორტის ეროვნული სახეობებისა და ხალხური თამაშობების აღდგენა-განვითარების ფუნქციასაც დააკისრებენ. განა ჩვენში სპორტის ეროვნული სახეობები და თამაშობები თავდაპირველად სწორედ თავდაცვის მიზნით არ აღმოცენდა?

მოკლედ, სკოლის დახურვა ადვილია, მთავარია, იგი შეინარჩუნო და ერის სამსახურის ფუნქცია დააკისრო.

მიმომხილველი

## დავით ჭულუხაძე სიდნეისკენ იმზირება

თანამედროვე ხუთჭიდი



მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა თამაშებში მონაწილეთა ზღვრული რაოდენობა დააწესა, სპორტის ცალკეული სახეობების საერთაშორისო ფედერაციები არჩევანის არც თუ სასიამოვნო ფაქტის წინაშე დადგნენ. მაგალითად, თანამედროვე ხუთჭიდის თამაშებში 32 ადგილი აქვს — გინდა სულ ვაჟები გამოიყვანე, გინდა ქალებს გაუყავი, ან პირიქით, სულაც ქალებს დაუთმე სარბიელი. მიუხედავად იმისა, რომ სოკის პრეზიდენტის ვაჟი სწორედ თანამედროვე ხუთჭიდის საერთაშორისო ფედერაციის ფუნქციონერია, მისმა მცდელობამაც ვერ მოიტანა სასურველი შედეგი — 32 და არც ერთი ზედმეტი ადგილი. ამ გარემოებამ გაართულა ოლიმპიადაზე მოხვედრის შესაძლებლობები. ახლა 16 უძლიერესს შორის უნდა დაიმკვიდრო ადგილი მსოფლიოში, გზა რომ გაიხსნა თამაშებისკენ. ასე დაწვრილებით იმიტომ ვმსჯელობთ, რომ სპორტის ეს სახეობა ჩვენთვის კარგა ხანია ოლიმპიური გახდა და ახლაც გვყავს ღირსეული მემკვიდრე — დავით ჭულუხაძე. დავითი, თუ ხელშეწყობა ექნება და მზადების პროგრამა შესრულდება, სიდნეის ოლიმპიადის რეალური კანდიდატია (ხელშეწყობა სპორტის დეპარტამენტზეა დამოკიდებული, რომელიც თავის მხრივ ბიუჯეტს შეჰყურებს). ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვების გზაზე დავით ჭულუხაძემ უკვე გადადგა პირველი სერიოზული ნაბიჯი — კიევში გამართულ უკრაინის ღია პირად პირველობაში, რომელიც ამავე დროს საერთაშორისო ტურნირიც იყო, ჩვენმა ხუთჭიდელმა 5357 ქულით მესამე საპრიზო ადგილი დაკავა. რაც უთუოდ წაადგება მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობის უფლების მოპოვებაში. დავძენთ, რომ რეიტინგით, შარშან, დავითი მსოფლიოში 33-ე იყო.

ოლიმპიური თამაშებისთვის ლიცენზიებს მიიღებენ კონტინენტების, მსოფლიო ჩემპიონატებსა და მსოფლიო თასის გათამაშებაში რჩეულთა შორის რჩეულნი. ჭულუხაძეს აქვს ყველა მონაცემი, რომ არა მხოლოდ მოხვდეს სიდნეიში, არამედ მედლისთვისაც იბრძოლოს, ოღონდ საჭიროა საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობა.

კიევში გამოდიოდა ჩვენი მეორე ხუთჭიდელიც — ნოდარ ბარავი. სპეციალისტების აზრით, ეს ბიჭიც პერსპექტიული ხუთჭიდელია და ახლაც შეეძლო უკეთესი შედეგისთვის მიეღწია, მაგრამ ავად გახდა, და მაღალი შედეგები ვეღარ აჩვენა, თუმცა, 56 მონაწილეს შორის იგი მე-12 ადგილზე დარჩა. კიევის ტურნირის უძლიერესი სამეული ასე გამოიყურება: 1. ვლადიმერ ტკაჩუკი — 5474 ქ, 2. გიორგი ჩემერისი (ორივე — უკრაინა), — 5407, 3. დავით ჭულუხაძე (საქართველო) — 5357.

— მას შემდეგ, რაც შინაგანი ჯარების თბილისის საცხენოსნო ბაზამ ვარჯიშის ნორმალური პირობები შეგვიქმნა, ჩვენი ხუთჭიდელების ოსტატობა ამაღლდა. დავითმა, მაგალითად, კიევში, ცხენოსნობაში 1100 ქულა მოიპოვა, რაც კარგი შედეგია. მადლობა მწვრთნელებს, — უთხრა „ლელოს" კორესპონდენტს ჩვენი ხუთჭიდელების უფროსმა მწვრთნელმა ამირან შეროზიამ.

მ. ფუფუნავა.

## ცენტრი – რეგიონები

## თურმე, როგორ ელოდნენ...

როგორც ვიუწყებოდით, ამ დღეებში საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანი და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე ჯანსუღ ბაგრატიონი ქუთაისში ჩავიდნენ ამ ქალაქში და საერთოდ, იმერეთის მხარეში სპორტის პრობლემების განსახილველად.

აი, რა განაცხადა ჯანსუღ ბაგრატიონმა „ლელოს" თხოვნით გამართულ საუბარში: „ამთავითვე გეტყვით, რომ ეს იყო უაღრესად საჭირო შეხვედრა როგორც ჩვენთვის, ისე მასპინძლებისთვის. როგორც იტყვიან, პრობლემებს პირდაპირ ჩავხედეთ თვალებში, მოვისმინეთ სამართლიანი სიტყვები, სურვილები, თხოვნები, საიდანაც ერთი მთავარი გეზი ნათლად იკვეთება — ქუთაისი და მთელი იმერეთის მხარე მზადაა მეტი წვლილი შეიტანონ ქართული სპორტის წინსვლაში, მისი ავტორიტეტის ამაღლებაში საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე. მასპინძლებმა გვითხრეს, რომ ჩაატარებენ ჭაბუკების, აგრეთვე სტუდენტთა სამხარეო თამაშებს და ამ ღონისძიებას „სიდნეი-2000"-ს მიუძღვნიან.

ძიუდოისტებისთვის, სადაც ახალი თამაშებისთვის ოლიმპიური ჩემპიონი დავით ხახალეიშვილიც ემზადება, შესანიშნავი ბაზა გამოუყვიათ ქალაქში, ასე რომ, ამიერიდან სპორტის ამ სახეობის მიმდევრებს საკუთარი დარბაზი ექნებათ. ყოველმხრივი კეთილმოწყობის პროცესშია კრივის კომპლექსი. ძალიან კმაყოფილი დავრჩით ლიცეუმის მონახულებით. ვეწვიეთ „ტორპედოს" საფეხბურთო ბაზას. ყველგან, სადაც კი ვიყავით, მივიტანეთ საფირმო სპორტული ფორმა, ამავე დღეებში მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის თემურ შაშიაშვილის სახელზეც მიუღიათ ასეთივე ჰუმანიტარული ნობათი უცხოეთიდან. საჩუქრები, სადაც მივედით, ერთად დავარიგეთ და, ვფიქრობთ, გულნაკლული არავინ დარჩენილა".

*დავძენთ, რომ გუშინ, საღამოს, ქუთაისიდან ფაქსიც მივიღეთ, სადაც ზემოაღნიშნულ სტუმარ-მასპინძლობას და მის შედეგებს მაღალ შეფასებას აძლევს „ლელოს" წარმომადგენელი ქუთაისში. „ასეთი შეხვედრები ეპიზოდური არ უნდა იყოს — ამით საერთო საქმე და ქართული სპორტი მოიგებს" — დაასკვნის კორესპონდენტი რედაქციაში გამოგზავნილ ინფორმაციაში.*

საკუთარი ინფორმაცია

## სპორტის უჩინარი მსახურნი

## გიყვარდეს, თუ გინდა უყვარდეთ...

ქვეყნის სპორტულ ხელმძღვანელ ორგანოში, ტრადიციულად, გულისხმიერებით გამორჩეული ფინანსისტები მუშაობდნენ და მუშაობენ. ახლა მათ შორის ყველაზე სტაჟიანი და ტრადიციების ერთგული „გუშაგი" გახლავთ ქალბატონი გულნარა მეგრელიშვილი, რომელსაც ჩვენი სპორტული სამყარო, არაერთი თაობის სახელოვანი სპორტსმენები, სპორტის მუშაკები, პირადად იცნობენ, იცნობენ როგორც უაღრესად თბილ, გამგებ, ყურადღებიან, მუდამ მომღიმარ და ტკბილმოუბარ მანდილოსანს.



გულო მეგრელიშვილი

რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მოგეჩვენოთ, ადამიანის მიერ ადამიანის სიყვარული, ყველაზე უდიდესი მადლი და სიკეთეა ამქვეყნად და სწორედ ამ სიკეთითაა მადლმოსილი ქალბატონი გულნარა. მას გულით, ალალად უყვარს ადამიანები და გარშემომყოფნიც იგივეს მიაგებენ სიკეთით აღსავსე ამ ჭარმაგ ადამიანს.

პიროვნება ექსტრემალურ სიტუაციაში სრულად იცნობა. „ქალბატონი გულიკო, თურმე კარგად არ გვცნობია" — ამბობენ ახლა ისინიც კი, ვინც მას ათეული წლებია მართლაც, რომ შესანიშნავად იცნობენ. უკიდურეს ვითარებაში თავის გადარჩენა ისეთი ინსტინქტია, რომელსაც არ განსჯიან ხოლმე, მაგრამ თუ სალაპარაკო თემად იქცევა, მხოლოდ იმიტომ, რომ მოხდა გამონაკლისი, გმირობის ტოლფასი გამონაკლისი — ადამიანი წირავდა სიცოცხლეს. რაც ვთქვით, არა ვინმეს, ზოგადად, არამედ კონკრეტულად ქალბატონ გულნარას ეხება. მართლაც საოცრებაა მისი თავგანწირვა — 70 წლის ქალმა შეიარაღებულ ბანდიტებს სძლია სიმტკიცით, არ დაიბნა, არ დაანება წვითა და დაგვით ხაზინიდან ხელფასებისთვის გამოტანილი თანხა, ატეხა განგაში, რასაც თავდამსხმელები არ მოელოდნენ. თუმცა, ეს სიმამაცე იარაღის თავში ჩარტყმით და მძიმე ტრავმით დასრულდა, ქალბატონ გულიკოს სხვაგვარად არ შეეძლო, სამსახური ხომ მისთვის უპირველესად იგივეა, რაც საკუთარი ოჯახი, სადაც იგი აგერ 40 წელიწადია დიასახლისობს.

თ. თომაშვილი

## სამბოს ფედერაციას ახალი ვიცე-პრეზიდენტი ჰყავს

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მიესალმებიან სპორტული ფედერაციების მართვის სათავეში ისეთი ადამიანების მოსვლას, რომლებსაც ქართული სპორტის დახმარების გულწრფელი სურვილი ამოძრავებთ და ძალუძთ ეს სურვილი რეალობად აქციონ. ეს არაერთხელ გაცხადდა და, არც ახალი ამბავია, მაგრამ პრაქტიკული ნაბიჯები არ ჩანდა. ბოლო ხანებში ტენდენცია სასიკეთოდ იცვლება — ფედერაციები მეტ დაინტერესებას იჩენენ, მაგრამ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩნდებიან პიროვნებები, რომლებმაც პირი იბრუნეს ქართული სპორტისკენ და, მართლაც გულით წადიათ, თავიანთი წვლილი შეიტანონ პრობლემების გადაჭრაში.

გუშინწინ სამბოს ფედერაციის პრეზიდიუმი შეიკრიბა, რომლის დღის წესრიგის საკითხებიდან ჩვენ მხოლოდ ერთს — ვიცე-პრეზიდენტის არჩევას გამოვყოფდით. თუ ამ პიროვნების ხსენებულ თანამდებობაზე ერთხმად არჩევას გავითვალისწინებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ სამბოს სამყარო მას კარგად იცნობს და ენდობა. ეს პიროვნება გახლავთ *კობა კურდღელაშვილი.*



კობა კურდღელაშვილი

### «ლელოს» წარდგინება

კობა კურდღელაშვილი დაიბადა 1966 წელს თბილისში. ვარჯიშობდა სამბოში 1976-80 წლებში, სპორტის ოსტატია. დაამთავრა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი. ამჟამად, შპს „დაკოს" ხელმძღვანელობს. საქართველოს სამბოს ეროვნულ ნაკრებთან რამდენიმე წლის ურთიერთობა აკავშირებს. ბიზნესის სამყაროში იცნობენ, როგორც უნარიან, დაკვირვებულ, გაწონასწორებულ, უაღრესად საქმიან პიროვნებას.

## დაბრუნება

## პაატა გვასალია ისევ ჩვენია!



კრივის მოყვარულებს ალბათ კარგად ახსოვთ ეს მოკრივე, რომელიც 1993 წლიდან რუსეთის სახელით გამოდიოდა რინგზე. ამ დღეებში პაატა კვლავ დაბრუნდა საქართველოში, როგორც თავად აცხადებს სამუდამოდ და სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობასაც აპირებს. ამ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ჯანსუღ ბაგრატიონს.

— პაატას პირადად ჯერ არ შევხვედრივარ, მაგრამ მაგიდაზე მიდევს საბუთი, რომელიც მას წამოუღია რუსეთის კრივის ფედერაციიდან. ამ დოკუმენტში ჩაწერილია, რომ რუსეთის ფედერაცია არ იქნება წინააღმდეგი თუ პაატა გვასალია გამოვა რომელიმე ეროვნულ ნაკრებ თუ სხვა გუნდში ან კომერციულ ტურნირებში — თქვა ბატონმა ჯანსუღმა.

## წყალბურთი თურქეთის საერთაშორისო ტურნირი

## სასწაული სარფის საბაჟოზე

*არაერთხელ თქმულა და კიდევ ერთხელ დავადასტურებთ სპეციალისტების აზრს — ხელშეწყობის პირობებში სპორტის სათამაშო სახეობებიდან ყველაზე ადრე და ყველაზე შთამბეჭდავად ქართული წყალბურთი დამკვიდრდება ღირსეულად საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე.*

რაც ზემოთ ითქვა, ყველამ ჩინებულად იცის და მიზანმიმართული, სტაბილური მხარდაჭერა ჩვენი წყალბურთელებისადმი მაინც არსაიდან ჩანს. მადლიანი სპონსორები რომ არა, ვინ იცის, საერთოდ იარსებებდა თუ არა ჩვენში დღეს სპორტის ეს სახეობა. ჟამიდან ჟამამდე ქართველ წყალბურთელებს (ეს ჭაბუკებზეც ითქმის) სადმე თუ მიიწვევენ თორემ არაფრის წინასწარ დაგეგმვა არ შეიძლება უსახსრობის გამო, ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებებში უვარჯიშებელი და ტურნირებგამოუვლელი ხომ არ წავა ნაკრები, თუმცა არც ესაა გამონაკლისი. ვინც თვალს ადევნებს ქართული წყალბურთის პრობლემებს, იცის, რომ ჩვენებს დიდი სიამოვნებით იწვევენ სხვადასხვა ტურნირებში თუ ღია პირველობებში, იწვევენ იმიტომ, რომ მოსწონთ მათი ტემპერამენტიანი თამაში, ოსტატობა, ყველაფერი რითაც ეს გულანთებული ბიჭები ალამაზებენ წყალბურთს — უვარგისი და მაჩანჩალა ვის რად უნდა!

ამავე პრინციპით მიიწვიეს ჩვენი ეროვნული ნაკრები ამ დღეებში თურქეთის საერთაშორისო ტურნირში. ჩვენებისთვის ეს ასპარეზობა მნიშვნელოვანი იმითაც იყო, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპამდე მეტოქეებს — რუმნეთის, პოლონეთის და ბელორუსიის ნა[illegible] ცხადია, ასეთი ტურნირი, მით უფრო შორს გამგზავრება არ უწევდათ, საქართველოს ნაკრებისთვის ხელსაყრელი იყო, მაგრამ ბოლო დღემდე უსახსრობის გამო, მაინც ბურუსით დარჩა მოსილი გამგზავრება-არგამგზავრების საკითხი. ისევ წყალბურთელებმა ჩამოიმათხოვრეს ახლობლებ-ნათესავებში გზის ფული (სტუმრობის ხარჯებს მასპინძლები სწევდნენ), საზღვრის გადალახვის შესატანზე კი ბედს მიენდნენ, თქვენ წარმოიდგინეთ, ბედმა გაუღიმა კიდეც — სარფის საბაჟოზე ჩვენს ნაკრებს საბაჟოს თანამშრომლები სიყვარულით შეხვდნენ, როგორც იტყვიან, თან გადაყვნენ, ყველანაირი კომფორტი შეუქმნეს და, რაც მთავარია, საზღვრის გადაკვეთის გადასახადიც თავადვე გადაიხადეს. ასეთივე გულისხმიერი მებაჟეები დახვდათ საზღვარზე უკან დაბრუნების დროსაც. ეს გულთბილობა ჩვენს ყოფაში მართლაც სასწაულად გამოჩნდა საერთო უყურადღებობისა და ინდეფერენტულობის ფონზე.

ტურნირი უმაღლეს დონეზე გამართულა და მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ნაკრებმა მხოლოდ გამგზავრებამდე ათი დღით ადრე დაიწყო ვარჯიში (დღეში ერთხელ) წყალზე (დრო „ლაგუნა-ვერემ" გამოუყო), ასპარეზობის სტარტზე ჩვენებს თავი არ შეურცხვენიათ — ევროპის ცნობილ ნაკრებებთან ძირითადად მხოლოდ III-IV პერიოდში, როცა დაღლა და ვარ[illegible] თმობდნენ მატჩს მინიმალური ანგა-



თენგიზ ივანიშვილი

რიშით (პოლონელებთან — 8:10, რუმინელებთან — 7:10, ბელარუსელებთან — 9:11. ბოლოს უკვე გადაღლილებმა დიდი ანგარიშით 2:14 წააგეს მასპინძლებთან). აქვე დავძენთ, რომ თურმე პოლონელები წელიწადში 85 საერთაშორისო მატჩს ატარებენ...

— წაუსვლელობა არ იქნებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ ეს ტურნირი საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ტარდებოდა და ფულად ჯარიმას დაგვაკისრებდნენ. ჩვენმა ფედერაციამაც გვირჩია აუცილებლად წავსულიყავით. ახლოს, მეზობელ ქვეყანაში ასეთი ტურნირის გამოტოვება, ისედაც შეჯიბრებებს მოწყურებული გუნდისთვის, დანაშაული იქნებოდა — გვითხრა „დინამოს" უფროსმა მწვრთნელმა თენგიზ ივანიშვილმა, რომლის ხელმძღვანელობითაც ძირითადად „დინამოს" ბაზაზე დაკომპლექტებული ნაკრები თურქეთში გაემგზავრა.

თენგიზ ივანიშვილისგან შევიტყვეთ [illegible]

თ. თომაშვილი

პრესის გავრცელების სააგენტო „ექსპრესი"

აგრძელებს ხელმოწერებს ქართულ და უცხოურ ჟურნალ-გაზეთებზე. არჩევანი დიდია. კერძო პირებზე ვრცელდება ფასდაკლება.

მისამართი: რუსთაველის, 52, ტელ: 93-66-78; ივ. ჯავახიშვილის, 86; 96-23-11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრაზილია – არა მხოლოდ გროფეებით...

*სიტყვა ბრაზილია თავისთავად ფეხბურთის სიმბოლოს წარმოადგენს. ამის ერთ-ერთი მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ეს ქვეყანა ფეხბურთელების ძალიან დიდი ექსპორტიორიცაა და ზოგიერთ ბრაზილიელ მოთამაშეს საერთოდ არ სურს სამშობლოსკენ მიხედვა.*

თითქმის შეუძლებელია ზუსტად დადგინდეს ბრაზილიელ ფეხბურთელთა რაოდენობა, რომლებიც 80-იანი წლებიდან მოყოლებული მთელს მსოფლიოში მიმოიფანტნენ. არაოფიციალური მონაცემებით 1988 წლიდან დღემდე 2500 ფეხბურთელმა დატოვა სამშობლო და უცხოურ კლუბებს მიაშურა. ეს ციფრი შესაძლოა სადავო იყოს, მაგრამ ახლოსაა რეალობასთან. მარტო 1997 წელს 500 მოთამაშე წავიდა სხვადასხვა ქვეყანაში. წარმატებული ტრანსფერები კი მოთამაშეთა მიგრაციის ტემპებს აჩქარებდა და სულ უფრო და უფრო ბევრი მაღალი თუ საშუალო დონის ფეხბურთელების ტრანსფერები იჩარხებოდა — მანამდე, სანამ რონალდო მოევლინებოდა საფეხბურთო სამყაროს, ეს იყო ბიზნესი, რომელსაც ადვილად მოჰქონდა მილიონები.

საყოველთაოდ აღიარებულ ბრაზილიელ ფეხბურთელთა ყველაზე დიდი კონტიგენტი იტალიელებს ჰყავდათ. თანამედროვე სიტუაციიდან გამომდინარე არც თუ ისე ადვილია, ზუსტად განსაზღვრო თუ უფრო რომელ ქვეყანაში გამოდიან საუკეთესო ბრაზილიელი ფეხბურთელები, მაგრამ 80-იან წლებში ასეთი ნაღდად იტალია იყო. აბა გავიხსენოთ ფალკაო — „რომაში", ზიკო — „უდინეზეში", ჟუნიორი — „ტორინოში", სოკრატესი — „ფიორენტინაში", კარეკა — „ნაპოლიში", დირსეუ — „ემპოლიში"... მაგრამ იტალიელები პიონერობას სახელოვან ბრაზილიელთა გადმობირებაში ვერ მიიწერენ, რადგან უკვე 70-იან წლებში საფრანგეთში გამოდიოდნენ 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონები — ჟაირზინიო და პაულო სეზარ ლიმა. ფრანგებმა შემდგომშიც, ოღონდ მოგვიანებით, მიმართეს ტეტრაკამპეონებს, როცა „მარსელმა" მოზერი შეიძინა, პსჟ-მ კი რაი და ლეონარდო.



კიდევ როდის ელირსება პაულო რინკს (მარჯვნივ) ბუნდესთიმის მაისური?

ბიზნესის წინსვლა საქმისადმი ახლებურად მიდგომას საჭიროებს. ევროპული კლუბები ახლა უფრო ახალგაზრდა, ხანდახან ყმაწვილ ბრაზილიელ ფეხბურთელებს ეტანებიან. ახალგაზრდა ტეტრაკამპიონებს დაოსტატებისათვის და ვარსკვლავად ქცევისათვის უკეთესი პირობები ევროპაში აქვთ. ზოგიერთი მათგანი ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის სატრანსფერო ფურცლის გარეშეც ახერხებს უცხოეთში წინსვლას, რის გამოც ლეგიონერთა ზუსტი რაოდენობის დადგენა შეუძლებელია. რონალდოზე რომ არაფერი ვთქვათ, რომარიომაც, როგორც სუპერვასკვლავმა ევროპაში აიდგა ფეხი ჰოლანდიური „ეინდჰოვენიდან" კატალონიურ „ბარსამდე"...

## სარეკორდო ტრანსფერები

ტელევიზია და ინტერნეტი, რა თქმა უნდა, დიდ როლს ასრულებს ტრანსფერების ესკალაციაში. ფეხბურთი სულ უფრო და უფრო დიდი ბიზნესი ხდება და ტრანსფერთა თანხებიც იზრდება. დენილსონის ტრანსფერმა „სან პაულოდან" ესპანურ „ბეტისში", რაც 40 მილიონი დოლარი დაჯდა, ყველა რეკორდი მოხსნა (ლაპარაკია ბრაზილიურ კლუბიდან უცხოეთში ტრანსფერზე). თუ რა ხელფასს იღებს რონალდო მილანის „ინტერში" გასაიდუმლოებულია, მაგრამ მაინც ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელად მიიჩნევენ. თუმცა ახლა ესპანელები მძაფრად ეპაექრებიან იტალიელებს ბრაზილიელ ტალანტთა გადმობირებაში და მათთვის ზღაპრული ჰონორარების გაცემაში. აი, ვთქვათ, „ბარსელონას" მეფურ პირობებში ჰყავს რივალდო, რაც აუცილებელი იყო მისი „დეპორტივოდან" გადმოსაყვანად. „ბარსაში" კიდევ ორი, რივალდოზე ოდნავ ნაკლებადანაზღაურებადი ფეხბურთელია — ჯოვანი და სონი ანდერსონი. ძალიან ძვირი უჯდება მადრიდის „ატლეტიკოს" ინგლისური „მიდლსბროდან" შეძენილი ჟუნინიო, „რეალს" კი „ინტერიდან" არცთუ ისე ძვირად ნაყიდი რობერტო კარლოსი. სამეფო კლუბის მიერ ამ სეზონის წინ მოპოვებული გარემარბი სავიო კი ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს და როგორც ექსპერტები მიიჩნევენ ამ მეტად ლამაზად, ორიგინალურად მოთამაშე ფეხბურთელს სულ მალე ზღაპრული ფასი დაედება.

„დეპორტივო" კი დიდ იმედებს ამყარებს ასევე ახალგაზრდა ჯალმინიაზე. ამ კლუბში კიდევ ორი ბრაზილიელი, მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონი გამოდის — მაურო სილვა და ფლავიო კონსეისაო. დიდი ფულის მოგებას ელის „სარაგოსაც", რომელსაც ჰყავს ჯამელი. თუმცა არც ვეტერანი ბრაზილიელები არიან მაინცდამაინც უსარგებლო ბიზნესისათვის — ვიგოს „სელტას" ნახევარმცველი მაზინიო (1994 წლის მსოფლიო ჩემპიონი) 1997-98 წლების სეზონის ესპანეთის საუკეთესო ლეგიონერადაც კი დაასახელეს.

იტალიაში მოთამაშე ბრაზილიელთაგან კი ალბათ არავინაა ისეთი, რომელსაც ძალუძს სარეკორდო ტრანსფერით გაითქვას სახელი (თუმცა შესაძლოა „ინტერის" რონალდოს ფასმა კიდევ აიწიოს), მაგრამ ბრაზილიელები აპენინზეც დომინირებენ — ამოროზო „უდინეზეში", ლეონარდო „მილანში" (მას ბოლო დროს პატარ-პატარა ჩავარდნები აქვს), ედმუნდო „ფიორენტინაში", კაფუ და ალდაირი „რომაში" (ანტონიო კარლოს საგო კი ჯერჯერობით ვერ ახერხებს ტიფოზთა სიმპათიების მოპოვებას). იტალიაში კარგა ხანს გამოდიოდა ბრაზილიის ეროვნული გუნდის მეკარე ტაფარელიც („პარმასა" და „რეჯანაში"), რომელიც ახლა თურქული „გალათასარაის" ღირსებას იცავს.

ძვირადღირებული ტრანსფერების გაჩარხვისათვის რიგში დგანან პორტუგალიაში მოთამაშე ბრაზილიელები. სამისოდ ნომერ პირველია „პორტუს" ფორვარდი ჟარდელი, რომელიც ორჯერ გახდა პორტუგალიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი. კარგ შთაბეჭდილებას ახდენენ „პორტუს" დანარჩენი ბრაზილიელები არტური და დორივა. ლისაბონის „სპორტინგს" ეგულება ლეანდრო, ხოლო „ბენფიკას" ახალგაზრდა მცველი, რომელმაც სახელად მაინცდამაინც რონალდო დაირქვა.

## ყველა კონტინენტზე

რამდენიმე ბრაზილიელმა, რომელთაგან ბევრმა უკვე ვეტერანობას მიაღწია, იაპონიაში დაიდო ბინა. მათგან ყველაზე სახელოვანია დუნგა („ჯუბილო ივატა"), რომელიც სამ მსოფლიო ჩემპიონატზე (1990, 1994, 1998) კაპიტნობდა ეროვნულ გუნდს. ჯეი ლიგაში კიდევ 3 ცნობილი ბრაზილიელი ოსტატი გამოდის: სეზარ სამპაიო („იოკაჰამა ფლუგელსი"), ჟორჟინიო 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, („კაშიმა ანტლერსი") და სილასი („კიოტო ფარფლ სანგა", ადრე რამდენიმე წარმატებული სეზონი ჩაატარა არგენტინაში).



იტალია-94.
მარცხნიდან – მაურო სილვა, რომარიო, ზინიო

90-იანი წლებიდან გერმანულმა კლუბებმაც გადაწყვიტეს გამოეცადათ ბრაზილიელები და არც გაწბილებულან. ჯოვანი ელბერი, რომელიც ჯერ შვეიცარიაში თამაშობდა („გრასჰოპერი"), მერე კი „შტუტგარტში", ახლა სუპერკლუბ მიუნხენის „ბაიერნის" და საერთოდ ბუნდესლიგის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია. ელბერამდე ბავარიელთა გუნდში გამოდიოდა ჟორჟინიო, რომელიც მერე ლევერკუზენის „ბაიერში" თამაშობდა. ახლო წარსულში ლევერკუზენელთა ღირსებას იცავდნენ ზე ელიასი და პაულო სერჟიო, დღეს კი ზე რობერტო, ემერსონი და პაულო რინკი, რომლის შესახებაც უფრო დაწვრილებით მოგვიანებით მოგახსენებთ. ბუნდესლიგის ჩემპიონ „კაიზერსლაუტერნში" თამაშობს ევერსონ როდრიგესი, რომელიც რატინიოს („წრუწუნა") სახელითაა ცნობილი. მას ბრაზილიაში ადრე არავინ იცნობდა, მაგრამ შემდეგ ელბერის მსგავსად შვეიცარიის „გავლით" გერმანიაში აღმოჩნდა და იქაურ ფანებში საკმაო პოპულარობითაც სარგებლობს.

სხვა, ნაკლებადცნობილი ბრაზილიელები მიმოფანტული არიან სამხრეთ, ცენტრალურ და ჩრდილო ამერიკის ქვეყნებში. ტეტრაკამპეონები არც აზიასა და აფრიკაში თამაშს თაკილობენ.

ტალანტებით მოზღვავებულ ბრაზილიაში ბუნებრივია ძალიან დიდი კონკურენციაა ეროვნულ ნაკრებში მოსახვედრად, რაც ბევრ ფეხბურთელს უბიძგებს გამოიყენოს შანსი სადაც არ უნდა იყოს იქ, უარი თქვას ბრაზილიის მოქალაქეობაზე და გახდეს უცხო ტომის შვილი — მსხვერპლის გაღება ხანდახან ამართლებს კიდეც.

## ჯანდაბას სამშობლო

პირველ ასეთ ფაქტად 1934 წლის მსოფლიო ჩემპიონატი გამოდგება, როცა იტალიის ეროვნულ გუნდში მოთამაშე ექსბრაზილიელი ფილო მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ჟოსე ალტაფინი კი 1958 წელს გახდა მსოფლიო ჩემპიონი, ოღონდ ბრაზილიის ეროვნულ გუნდში, ხოლო მომდევნო ორ მონდიალზე იტალიის ნაკრების ღირსებას იცავდა (იმავდროულად წარმატებით გამოდიოდა მილანის „ინტერში"). ალექსანდრ ბორგეს გიმარარესი 80-იანი წლების მიწურულს კოსტარიკელი გახდა და სწორედ მისი გოლის წყალობით კოსტარიკელებმა იმარჯვეს 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის გადამწყვეტ მატჩში და ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს. ლუის რობერტო ალვესი კი მექსიკელი გახდა და 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატშიც მონაწილეობდა.

მსგავსი ისტორიები ახლაც ხდება. ავიღოთ თუნდაც ოლივეირა ბაროსო ანუ უბრალოდ ოლივეირა. იგი 16 წლის იყო, როცა ბელგიაში ჩავიდა ოჯახთან ერთად ერთადერთი უბრალო მიზნით — ეშოვა ფული. მუშაობდა ჭურჭლის მრეცხავად, ფეხსაცმელების მწმენდავად. ერთ მშვენიერ დღეს კი „ანდერლეხტის" ჭაბუკთა გუნდში გასინჯეს და... დღეს კი „სერია A"-ს ლიდერ „ფიორენტინას" და ბელგიის ეროვნული ნაკრების ღირსებას იცავს (ბელგიის მოქალაქეობა ოლივეირამ 23 წლისამ მიიღო 1992 წელს). ხოსე კლაიტონ რიბერო მენეზესი იგივე მიზნით ტუნისს ეწვია — მოქალაქეობის შეცვლის შემდეგ მყისვე გახდა ეროვნული გუნდის წევრი, მერე აფრიკის ჩემპიონი, მერე საფრანგეთი-98-ის მონაწილე და ახლა კი შეიძლება ითქვას რომ ცხოვრება ნამდვილად მოიწყო — ის ფრანგულმა „ბასტიამ" გადაიბირა.

ვაგნერ ლოპესი თავის დროზე ბრაზილიის 17 წლამდელთა ნაკრებში თამაშობდა, მაგრამ 18 წლისამ უცნაური გადაწყვეტილება მიიღო — იაპონიაში გაეგრძელებინა კარიერა, მიუხედავად იმისა, რომ სახელგანთქმულ „სან-პაულოში" გამოდიოდა და პერსპექტიულ ფეხბურთელადაც მიიჩნევდნენ. 1992 წელს კი იაპონიის მოქალაქეობა მიიღო, რაც შემდეგნაირად ახსნა: „ჩემი პირველი ვაჟი იაპონიაში დაიბადა და მეც გადავწყვიტე იაპონელი გავმხდარიყავი". წარმატება კი 6 წლის მერე მოვიდა — მისი გოლის წყალობით იაპონელებმა საფრანგეთი-98-ის შესარჩევ მატჩში თვით კორეელებს სძლიეს (2-1), რამაც დიდად განაპირობა მათი მონაწილეობა მონდიალზე. ვაგნერ ლოპესი კი ამომავალი მზის ქვეყანაში გმირად იქცა და საფრანგეთი-98-ზე თამაშიც ხვდა წილად.

## რინკი და რამოსი

ამბავი რინკზე და რამოსზე შედარებით საინტერესო გახლავთ და მათზე ცოტათი ვრცლადაც მოგახსენებთ. პაულო რინკი, როცა ის ყმაწვილკაცობაში შევიდა უკვე ძალიან პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლებოდა. იგი ლევერკუზენის „ბაიერმა" „ატლეტიკო პარანაენსისგან" გადმოიბირა. ბუნდესლიგაში რინკი ვარსკვლავებს ვერ წყვეტდა, მაგრამ გერმანელთათვის არაორდინარული მისი სტილი საფრანგეთი-98-ის შემდეგ თვალში მოუვიდა ეროვნული გუნდის თავკაც ბერტი ფოგტსს. მან რინკს ნაკრებში თამაში შესთავაზა, რაც მისთვის თავისთავად ბრაზილიის მოქალაქეობაზე ხელის აღებას ნიშნავდა. ორკვირიანი ყოყმანის შემდეგ პაოლო რინკმა ვერ გაუძლო ცდუნებას და გაგერმანელდა, რასაც იმანაც შეუწყო ხელი, რომ ბაბუამისი ნაცისტებისგან ბრაზილიაში თავდაღწეული გერმანელი იყო. რინკმა შარშან სექტემბერში ორი ამხანაგური მატჩიც ჩაატარა ბუნდესთიმის შემადგენლობაში, რის შემდეგ ბერტი ფოგტსს ნაკრებიდან წასვლა მოუწია და მის პოსტზე ერიხ რიბეკი დაინიშნა. რიბეკმა ლამის ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელად დანიშვნისთანავე განაცხადა, რომ ჯერჯერობით 25 წლის პაოლო რინკი სრულებით არ შედის ჩემს სამომავლო გეგმებშიო...

რუი რამოსის ამბავი კი ალბათ უნიკალურია. 70-იანი წლების მიწურულისთვის ის ბრაზილიაში სავსებით უცნობი ფეხბურთელი გახლდათ. ჰოდა, ჯიბეგამოფხეკილმა რამოსმაც ამომავალი მზის ქვეყანას მიაშურა ჯიბის გასასქელებლად. ის იაპონიაში ქალაქიდან ქალაქში დაძრწოდა მუდმივი სამუშაოს ძებნაში, მაგრამ არა დიდხანს — მისი საფეხბურთო ტალანტი მალე შენიშნეს. იქ იგი არა მარტო ცნობილი ფეხბურთელი, არამედ ცნობილი საფეხბურთო მოღვაწეც შეიქნა. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ფეხბურთის გაპროფესიონალებაში, ჯეი-ლიგის სტრუქტურის შექმნასა და დახვეწაში. მოკლედ ფეხბურთელობის გარდა რამოსი იაპონიის ფეხბურთის ასოციაციის შტატგარეშე მრჩეველიც გახდა. „ვერბი კავასაკიში" მისი პოპულარობა მხოლოდ კაზუიში მიურასისას თუ ჩამოუვარდებოდა, ახლა კი, როცა მიურა ხორვატიული „კროაციას" საკუთრება გახდა, 41 წლის რუი რამოსი „ვერბი კავასაკის" გულშემატკივრებში გმირად არის შერაცხული. ამ კლუბმა ჯეი-ლიგის ხანმოკლე არსებობის განმავლობაში ორჯერ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონობა. რუი რამოსმა იაპონიის მოქალაქეობა 1989 წელს მიიღო, იყო აზიის თასის და მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის საუკეთესო ბომბარდირი და, რაც მთავარია, რუი რამოსი არის პირველი ბრაზილიელი, რომელიც კაპიტნობდა სხვა ქვეყნის ეროვნულ გუნდს. მისი პოპულარობის პიკი კი 1992 წელი გახლდათ, როცა იაპონიამ აზიის ჩემპიონობა მოიპოვა.

...ფეხბურთი, განსაკუთრებით ბრაზილიელთათვის, მართლაც რომ ამოუწურავი თემაა.

დათო თავართქილაძე



კაზუიში მიურა (მარცხნივ) და რუი რამოსი

## ბრაზილიელები მსოფლიოს გარშემო

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 78 | საბერძნეთი | 8 | კოსტა რიკა | 5 | თურქეთი | 2 |
| შვეიცარია | 35 | ბელგია | 7 | იუგოსლავია | 4 | ავსტრალია | 1 |
| იაპონია | 32 | კოლუმბია | 7 | ტუნისი | 4 | დანია | 1 |
| აშშ | 23 | რუსეთი | 7 | ავსტრია | 3 | სლოვაკეთი | 1 |
| ესპანეთი | 19 | ვენესუელა | 7 | ეკვადორი | 3 | ჰონდურასი | 1 |
| ჩინეთი | 19 | ურუგვაი | 7 | სლოვენია | 3 | მალაიზია | 1 |
| მექსიკა | 18 | ფინეთი | 6 | სამხ.აფრიკის რესპ. | 2 | მაროკო | 1 |
| ბოლივია | 15 | საფრანგეთი | 6 | ალბანეთი | 2 | პარაგვაი | 1 |
| გვატემალა | 10 | კატარი | 6 | არგენტინა | 2 | პოლონეთი | 1 |
| პერუ | 10 | ჰოლანდია | 5 | ბულგარეთი | 2 | სინგაპური | 1 |
| კოსტა რიკა | 10 | უნგრეთი | 5 | ჩილე | 2 | ჩეხეთი | 1 |
| იტალია | 9 | ჰონგ-კონგი | 5 | ინდონეზია | 2 | ისრაელი | 1 |
| გერმანია | 8 | საუდის არაბეთი | 5 | მაკედონია | 2 | კვიპროსი | 1 |

ქვეყნების ჯამური რაოდენობა: 52

ლეგიონერთა ჯამური რაოდენობა: 417

ეს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები აღებულია ბრაზილიის ფეხბურთის ასოციაციის 1998 წლის აგვისტოს აღწერიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## „ბატისტუტა – თანამედროვეობის უძლიერესი ფორვარდი“

*ასე ფიქრობს ბატისტუტას კლუბ „ფიორენტინას“ ხელმძღვანელი, გამოჩენილი მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი. მისი აზრით, რონალდოც კი, თავისი მაქსიმალური მზადყოფნით, მაინც ჩამოუვარდება არგენტინელს. უნდა ნახოთ, როგორ ვარჯიშობს ბატისტუტა, როგორი შეუპოვრობით მიისწრაფვის ყოველ მატჩში გამარჯვებისაკენ. თუმცა, გასულ კვირას „მილანთან“ მატჩში მან ტრავმა მიიღო და, როგორც ვარაუდობენ, იგი, ალბათ, თვენახევრით გამოეთხოვა ფეხბურთს.*



იგი დაიბადა 1969 წლის 1 თებერვალს ბუენოს-აირესში. 1988 წელს დებიუტი ჰქონდა არგენტინის ჩემპიონატში „ნიუელზ ოლდ ბოიზის“ შემადგენლობაში. შემდეგ თამაშობდა „რივერ პლეიტსა“ და „ბოკა ხუნიორსში“, იქ ქვეყნის ჩემპიონიც გახდა. 1991 წლიდან გამოდის არგენტინის ნაკრებში. 1991 წლის ზაფხულში გადავიდა „ფიორენტინაში“. 1993 წლის მაისში „ფიორენტინამ“ დატოვა იტალიის უმაღლესი ლიგა, მაგრამ ბატისტუტამ არ უღალატა გუნდს და ერთი წლის შემდეგ „იები“ (ასე ეძახიან იტალიაში „ფიორენტინას“) დაუბრუნდა „სერია A“-ს. ბატისტუტა მონაწილეობდა მსოფლიოს 1994 და 1998 წლების ჩემპიონატებში. 1998 წლის ზაფხულში მან უარყო „პარმასა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინადადებები და „ფიორენტინაში“ დარჩა.

აი, ნაწყვეტები ბატისტუტას ინტერვიუდან, რომელიც იტალიურ „კორიერე დელო სპორტში“ გამოქვეყნდა „მილანთან“ მატჩამდე.

● ***ჯოვანი ტრაპატონიმ დაგარწმუნათ დარჩენილიყავით „ფიორენტინაში“. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ კმაყოფილი ხართ ახალი მწვრთნელით და გუნდში შექმნილი სიტუაციით?***

— დიახ. ტრაპატონი რომ არ მოსულიყო გუნდში, მას, ალბათ, დავტოვებდი. იგი ფანტასტიკური ადამიანია, თავიდან ტერფამდე გამარჯვებული, განსაცვიფრებელი ოპტიმიზმის მატარებელი. როცა იგი თამაშზე ლაპარაკობს, მისი იდეები, რაგინდ რთულიც არ უნდა იყოს, ყველაზე ჩლუნგი ადამიანისთვისაც კი გასაგები ხდება. მას დიდად ვაფასებ როგორც მწვრთნელსა და როგორც ადამიანს.

● ***თქვენც ბუნებით გამარჯვებული ხართ...***

— ყოველთვის მოგებისაკენ მივისწრაფვი, თუნდაც ცოლს კარტს ვეთამაშებოდე.

● ***თქვენი გულშემატკივრები თვლიან, რომ შემტევი დუეტი ბატისტუტა-ედმუნდო ამჟამად მსოფლიოში უძლიერესია. რაშია თქვენი წარმატების საიდუმლოება?***

— არავითარი საიდუმლოება არ არსებობს. უბრალოდ, კარგახანია ვთამაშობთ და ფეხბურთშიც რადაცა გვესმის. გამოცდილებამ გუნდს ხელი შეუწყო იტალიის ჩემპიონატის ლიდერი გამხდარიყო, თუმცა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ჩვენს პრეტენზიებს იტალიის ჩემპიონობაზე მთლად სერიოზულად არ აღიქვამენ. ეს მათი პრობლემებია, დეე ილაპარაკონ და წერონ, რაც სურთ. ფაქტი ფაქტად რჩება — ჩვენ დღეისათვის იტალიაში საუკეთესო კლუბი გვყავს.

● ***რითია, თქვენის აზრით, დღეისათვის „ფიორენტინა“ ძლიერი?***

— მძლავრი კოლექტივი ვართ, რომელსაც სწამს თავისი შესაძლებლობებისა. არ არის ძნელი პირველ ადგილზე აღმოჩნდე, უფრო ძნელია მისი შენარჩუნება. საჭიროა ბევრი მუშაობა, ეს კი ტრაპატონიმ ყველაზე კარგად იცის. რაც არ უნდა მოხდეს, სეზონის დაწყებიდან დარწმუნებული ვართ, რომ ჩემპიონობას მოვიპოვებთ.

● ***რა თვისებები გაქვთ, როგორც ფეხბურთელს?***

— არასოდეს არ ვყრი ფარ-ხმალს, არ ვწყვეტ გოლების შეგდებას. არასოდეს ვკმაყოფილდები მიღწეულით. არასოდეს ვფიქრობ ჩემს გატანილ გოლებზე და რეკორდებზე. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია გავიტანო კიდევ ერთი გოლი და დავამყარო კიდევ ერთი რეკორდი. მე ყოველთვის პროგრესისკენ მივისწრაფვი.

● ***ლეგიონერების ლიდერი ხართ „სერია A-ში“ გატანილი გოლების რაოდენობით. რვა სეზონში 120 გოლზე მეტი გაიტანეთ. გარდა ამისა, 1994-95 წლების სეზონში ზედიზედ 11 მატჩში გაგქონდათ გოლები. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ თქვენ მაინც მიისწრაფით რეკორდებისაკენ?***

სინამდვილეში რეკორდებს თქვენთვის, ჟურნალისტებისათვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს.

● ***მიისწრაფით თქვენი ოსტატობის სრულყოფისაკენ?***

— რა თქმა უნდა. ყოველდღიურად ვმუშაობ. ასე, მაგალითად, მთლად კმაყოფილი არა ვარ მარცხენა ფეხით დარტყმით, ბევრს ვვარჯიშობ ამ ნაკლის გამოსასწორებლად. მაგრამ არ იფიქროთ, რომ თითქოს მხოლოდ საკუთარ თავზე ვფიქრობ. ჩემი თავი შეგნებულად მივუძღვენი გუნდს, „ფიორენტინა“ იქნება ეს თუ არგენტინის ნაკრები. ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, ვინ თამაშობს გუნდში გადამწყვეტ როლს, მეკარე ტოლდო იქნება ეს თუ თავდამსხმელი ოლივეირა.

● ***ხომ არ თვლით, რომ მიმდინარე ჩემპიონატი, ცოტა არ იყოს, არაჩვეულებრივია?***

— იმიტომ, რომ „იუვენტუსი“ პირველ ადგილზე არ არის?.. შეხედეთ რა მაღალ დონეზე თამაშობენ „ლაციო“, „პარმა“ და „ფიორენტინა“ და არაფერ არაჩვეულებრივს ველარ ნახავთ.

● ***ძალიან გინდათ იტალიის მოქალაქე გახდეთ?***

— გულახდილად რომ გითხრათ, იმ რვა წლის შემდეგ, რომელიც აქ გავატარე, თავს ისედაც იტალიელად ვგრძნობ (ბატისტუტა იტალიური წარმოშობის არგენტინელია — *რედ.*)

● ***გაქვთ იმედი, რომ მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატში ითამაშებთ?***

— დიდი იმედი მაქვს. მახარებს, რომ პასარელა არგენტინის ნაკრების ხელმძღვანელის პოსტზე ბიელსომ შეცვალა, ჩემმა პირველმა მწვრთნელმა.

● ***რას იტყვით მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატზე?***

— ძალიან ვწუხვარ, რომ არ გვეყო დრო მოსამზადებლად. არგენტინის ნაკრების ფეხბურთელების უმეტესობა ხომ უცხოეთში თამაშობს, არა გვქონდა შერწყმის და შეთამაშების შესაძლებლობა. კარგად რომ გაგვეცნო ერთმანეთი, უკეთეს შედეგს მივაღწევდით.

● ***ამბობენ, რომ თქვენ მაინცდამაინც არ გიყვართ ფეხბურთი. მართალია?***

— არ მიყვარს ის ფეხბურთი, რომელშიც ჩართული არიან ადამიანები, ცხოვრებაში ერთხელაც რომ არ გაუკრავთ ფეხი ბურთისათვის.

● ***თქვენ ათასობით ჭაბუკის კერპი ხართ. რას ეტყოდით მათ?***

— ითამაშეთ ფეხბურთი სიამოვნებისათვის. იფიქრეთ მხოლოდ თამაშზე და არა მრავალმილიონიან კონტრაქტებზე. დატკბით ფეხბურთით. ეს არის მთავარი.

**მოამზადა**
ბივი თორელმა

## „ინტერი“ რეიტინგით კვლავ პირველია

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის მსოფლიო ფედერაციამ გამოაქვეყნა მსოფლიოს უძლიერესი კლუბების მორიგი რეიტინგ-ლისტი. აქ პირველ ადგილს კვლავ მილანის „ინტერი“ ინარჩუნებს.

1. მილანის „ინტერი“ — 342,5 პუნქტი. 2. რიო-დე-ჟანეიროს „ვასკო და გამა“ — 295,5. 3. სან-პაულუს „პალმეირასი“ — 284,5. 4. მიუნხენის „ბაიერნი“ — 284. 5. ბუენოს-აირესის „რივერ პლეიტი“ — 273. 6. მადრიდის „რეალი“ — 266. 7. „გლაზგო რეინჯერსი“ — 264. 8. „ბოლონია“ — 258. 9. რომის „ლაციო“ — 252. 10. მოსკოვის „სპარტაკი“ — 251. 11. ლონდონის „ჩელსი“ — 248. 12. ბელუ-ორიზონტეს „კრუზეირო“ — 248. 13. კიევის „დინამო“ — 242. 14. ლონდონის „არსენალი“ — 237. 15. „მანჩესტერ იუნაიტედი“ — 231 პუნქტი და ა.შ.

## „რეალი“ სამ ბანაკად დაიყო

*არავისთვისაა საიდუმლო, რომ ჰოლანდიელი მწვრთნელი გუს ჰიდინკი უკვე კონტროლს ვეღარ უწევს მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელებს, რომელთა დიდი ნაწილი უკვე აღარ ემორჩილება მას. ფეხბურთელები ერთმანეთსაც არა სწყალობენ და ფაქტობრივად გუნდში სამი დაჯგუფება წარმოიქმნა.*

*ერთი მხრივ ეს არის „კაპიტნების“ ჯგუფი. აქ შედიან მანოლო სანჩისი, ფერნანდო იერო, ფერნანდო რედონდო, რაული და გუტი. ისინი ყველაზე წინ გუნდის ინტერესებს აყენებენ. მეორე ჯგუფში შედიან დავორ შუკერი, კლუბის პრეზიდენტის ვაჟი ფერნანდო სანსი, ფერნანდო მორიენტესი, აგრეთვე კრისტიან პანუჩი, ივან კამპო, რობერტ იარნი, პრედრაგ მიატოვიჩი და მათთან მიკედლებული გუნდის ახალბედა პერიცა – ოგნენოვიჩი. ისინი ისე იქცევიან, როგორც სურთ. მესამე ჯგუფს მიეკუთვნებიან შავკანიანი ფეხბურთელები კრისტიან ჯარამბე, კლარენს ზეედორფი და რობერტ კარლოსი, რომლებიც მხოლოდ ერთმანეთთან მეგობრობენ.*

*ერთი სიტყვით, ჰიდინკმა აღარ იცის, რა გააკეთოს.*

## მათეუსი – 132!

განთქმულმა გერმანელმა ფეხბურთელმა ლოთარ მათეუსმა განაახლა ნაკრებში თამაში, რომელსაც თითქოს საბოლოოდ 1994 წელს გამოეთხოვა. ამ დღეებში მან ითამაშა ჯერ აშშ-ს, შემდეგ კი კოლუმბიის ნაკრებების წინააღმდეგ და ახლა ნაკრებში 132 (!) მატჩი აქვს გამართული.

● ***ლოთარ, თქვენ 69 მატჩში იყავით ნაკრების კაპიტანი, ბოლო მსოფლიო ჩემპიონატი საფრანგეთში თქვენთვის მეხუთე იყო. უკვე რა რეკორდებზე შეიძლება ოცნება?***

— ასეთი სტატისტიკა სულაც არ მაღელვებს. ისე გამოდის, რომ ჩემს მშობლებს უფრო უხარიათ ჩემი წა-



რმატება, ვიდრე მე. უბრალოდ მიყვარს ნაკრებში თამაში. არასოდეს მებადება კითხვა, ვითამაშო თუ არა მასში.

● ***21 მარტს 38 წლისა გახდებით.***

— ძალიან მაღიზიანებს ეს სპეკულაციები ჩემი ასაკის გამო. რა ვქნათ, როცა 37 წლისა თავს უკეთესად ვგრძნობ, ვიდრე ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი. საკუთარ ჯანმრთელობას, როგორც კი „კრიტიკულ ასაკში“ შეხვალ, მეტი ყურადღება უნდა მიაქციო.

● ***თქვენი ყოფილი პარტნიორი მილანის „ინტერსა“ და მიუნხენის „ბაიერნში“ იურგენ კლინსმანი ახლა გამოსათხოვარი მატჩების პრობლემებით არის დაკავებული. გიფიქრიათ თუ არა ამ თემაზე?***

— არა, არ მიფიქრია. მინდა ნაკრებში, კიდევ, როგორც მინიმუმი, წელიწადნახევარი მაინც ვითამაშო. მით უმეტეს, რომ ამ დღეებში სერიოზული საუბარი მქონდა ერიხ რიბეკთან: იგი მენდობა, ჩემი დახმარების იმედი აქვს. ერთი სიტყვით, მანამდე ვითამაშებ, სანამ ნაკრებისათვის საჭირო ვიქნები.

● ***ყველას როდი უხარია, რომ კვლავ ნაკრების კაპიტანი ხართ.***

— დიახ, ასეა. არაკეთილისმსურველები არ მაკლია, მაგრამ მეგობრებიც ბევრი მყავს. ვიცი, რომ შემიძლია ვისარგებლო „ბაიერნის“ პრეზიდენტ ფრანც ბეკენბაუერის მხარდაჭერით. იგი ყველაზე ძნელ დროსაც კი ჩემს მხარეზეა.

● ***რას იტყვით კლუბის მენეჯერ ული ჰიონესის სიტყვებზე, რომელმაც გირჩიათ კარიერის დასრულებაზე იფიქროთ?***

— არ ვიცი, რატომ უნდა მირჩიოს ასე მენეჯერმა. ეს ხომ მწვრთნელების კომპეტენციაა. მე კი ერიხ რიბეკიც და ოტმარ ჰიტცფელდიც მხარს მიჭერენ.

● ***და მაინც, რას გააკეთებთ, როცა აღარ ითამაშებთ?***

— შესაძლოა, შვეიცარიაში დავსახლდე, რათა მეტი დრო მოვანდომო ჩემს ოჯახს. არ არის გამორიცხული, რომ თამაში აშშ-ში განვაგრძო, გიჟური ქალაქი ნიუ-იორკი დიდი ხანია მიზიდავს.



## ჩილავერტს პეტარდები დააყარეს

მატჩი არგენტინულ კლუბებს „რივერ პლეიტსა“ და „ველეს სარსფილდს“ შორის თითქოს ჩვეულებრივად დაიწყო. მოთამაშეებმა თავიანთი ჩვეული ადგილები დაიკავეს, „ველესის“ განთქმული გოლკიპერი ხოსე ლუის ჩილავერტი კარში ჩადგა. მის კართან ახლოს კი „რივერის“ ვაიგულშემატკივრები ისხდნენ. საკმარისი იყო ჩილავერტი მათგან ზურგით დამდგარიყო, რომ მას პეტარდები დააყარეს. ჩილავერტმა ყურზე იტაცა ხელი, შემდეგ კი პარაგვაელი მინდვრის ცენტრისკენ გაემართა და მსაჯს უთხრა: „არ ვითამაშებ, რა გინდათ ჩემგან? რომ თვალი გამომთხარონ?“ „დაწყნარდით“ – ასე უთხრა მსაჯმა კლაუდიო მასტინგმა და ჩილავერტიც კარში დაბრუნდა.

გულშემატკივრებმა მაინც არ მოასვენეს პარაგვაელი მეკარე, სტადიონზე 3500 მაყურებელი მივიდა (მატჩი ამხანაგური იყო) და არცერთი პოლიციელი. როცა პეტარდები კვლავ ესროლეს, ჩილავერტმა მე-16 წუთზე დატოვა მინდორი და მის მაგივრად სხვა მეკარემ განაგრძო თამაში. ამავე საღამოს ჩილავერტმა ერთ-ერთ საავადმყოფოს მიმართა, მაგრამ იქ უთხრეს, რომ არაფერი მოხვედრია, მხოლოდ „აკუსტიკური ტრავმა“ მიიღო.

*სურათზე: ჩილავერტი (მარცხნივ) თავჩაქინდრული ტოვებს მინდორს.*

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ამხანაგური მატჩები

**გერმანია — კოლუმბია 3-3**
0-1 ასპრილია (26), 1-1, 1-2 პრეეტცი (33, 55), 2-2 ასპრილია (68), 3-2 ბოდე (74), 3-3 კორდობა (80).

**ბელგია — ჩეხეთი 0-1**
კოლერი (73).

**ისრაელი — ბელარუსი 2-1**
1-0 ნივნი (20), 1-1 ბარანოვი (28), 2-1 ნივნი (51).

**პოლონეთი — ფინეთი 1-1**
1-0 კოვალჩიკი (1), 1-1 იოჰანსონი (20).

**ხორვატია — დანია 0-1**
სანდი (45).

**ირლანდია — პარაგვაი 2-0**
1-0 ირვინი (39 პ.), 2-0 კონოლი (73).

**იტალია — ნორვეგია 0-0**

**ჰოლანდია — პორტუგალია 0-0**

**ალბანეთი — მაკედონია 2-0**
1-0 ვატა (48), ბოგდანი (90).

**ინგლისი — საფრანგეთი 0-2**
ანელკა (69, 74).

UEFA EURO 2000

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი

### VI ჯგუფი

კვიპროსი — სან მარინო 4-0
1-0 მალანარკიტისი (18), 2-0, 3-0 კონსტანტინუ (32, 45), 4-0 ხრისტოდულუ (88).

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| კვიპროსი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-5 | 9 |
| ავსტრია | 3 | 2 | 1 | 0 | 8-2 | 7 |
| ისრაელი | 3 | 1 | 1 | 1 | 7-3 | 4 |
| ესპანეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| სან-მარინო | 4 | 0 | 0 | 4 | 1-4 | 0 |

### VIII ჯგუფი

მალტა — იუგოსლავია 0-3
0-1, 0-2 ნადი (22, 55), 0-3 მილოშევიჩი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | 7-1 | 6 |
| მაკედონია | 3 | 2 | 0 | 1 | 8-4 | 6 |
| იუგოსლავია | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| ხორვატია | 3 | 2 | 0 | 1 | 7-5 | 6 |
| მალტა | 5 | 0 | 0 | 5 | 21-8 | 0 |

### რონალდო: კანუ ყველაზე უკეთესია

რონალდო ძალიან მაღალი აზრისაა თავის ყოფილ თანაკლუბელ კანუზე, რომელმაც ამ მოკლე ხანში ლონდონის „არსენალთან" ხელშეკრულება უნდა გააფორმოს და ახლა ინგლისელი ხელისუფლების ნებართვას ელოდება. ის, რაც რონალდომ განაცხადა, ბევრი ჟურნალისტისათვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა: „კანუ ყველაზე უკეთესია მათ შორის, ვინც კი ჩემს გუნდებში მინახავს. ის, რასაც იგი ვარჯიშზე აკეთებს, როგორ ცეკვავს ბურთით, პირდაპირ უმაღლეს პილოტაჟად მიმაჩნია". რონალდოს კი „ბარსელონაში", „ინტერსა" და ბრაზილიის ნაკრებში ვინ აღარ უნახავს.

### თან საშინელ დღეშია, თანაც ვინ იყიდის!

როცა განთქმულ ბრაზილიელ დენილსონის შესაძლებელ გაყიდვაზე ჩამოვარდება სიტყვა, სევილიის „ბეტისის" პრეზიდენტი მანუელ დე ლოპერა ირონიულად იტყვის ხოლმე: „იგი რომ ჩვენგან წაიყვანონ, ჯერ ბანკი უნდა გაძარცვონ." მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი, რომელიც სევილიურ კლუბს 35 მილიონი დოლარი დაუჯდა, ეტყობა, ახლა კომმარულ მდგომარეობაში აღმოჩნდა: ბევრი მატჩი ისე სუსტად ჩაატარა, რომ მტკიცედ აღმოჩნდა სათადარიგო მოთამაშეთა სკამზე. ამიტომაც იყო, რომ დაიწყო ლაპარაკი ბრაზილიელი ვარსკვლავის გადასვლაზე ისეთ მდიდარ კლუბში, როგორიც „გლაზგო რეინჯერსია" და ამასთან, სხვა, ინგლისურ კლუბებზეც არის ლაპარაკი.

დე ლოპერამ განაცხადა, რომ ნახევარმცველის კონტრაქტში არის პუნქტი, რომლის ძალითაც დენილსონის მყიდველმა 450 (!) მილიონი დოლარი უნდა გადაიხადოს, და, თანაც, ამ პუნქტის გადასინჯვაც არ შეიძლება!

„დენილსონს კონტრაქტი აქვს „ბეტისთან", მაგრამ სისტემატურად ძირითად შემადგენლობაში მაშინ ითამაშებს, როცა ამას დაიმსახურებს. ჩვენს გუნდში ძირითად შემადგენლობაში გამოსვლა არავის აქვს გარანტირებული. ეს არ არის დამოკიდებული იმ თანხაზე, რომელიც მოთამაშის შესაძენად გადაიხადეს. ბრაზილიელი ძალიან კარგი ადამიანი და დიდი ფეხბურთელია. მაგრამ ყველამ უნდა გაიგოს, ვის ეკუთვნის გუნდში გადამწყვეტი სიტყვა. პრეზიდენტი კი ვარ, მაგრამ ყველა სათამაშო საკითხი მწვრთნელის კომპეტენციაში შედის".


ნიკოლა ანელკა



### კუჩერევსკი: ჩვენთან იყვნენ და ჩვენთან დარჩებიან!

როგორც ცნობილია, შარშან ტულის „არსენალი", რომელსაც ცნობილი სპეციალისტი ევგენი კუჩერევსკი უდგას სათავეში, ძირითადად ბრაზილიელებით იყო დაკომპლექტებული, მაგრამ ვერ შეძლო რუსეთის უმაღლეს დივიზიონში გადასვლა.

● *ბრაზილიელები ტულაში რჩებიან?*

— რჩებიან, — უპასუხა კუჩერევსკიმ, — ისინი ექვსნი არიან. კარლოსი, ანდრადინა, პაულინიო, ჟორჟინიო, პენიჩე და დანიელი. ჩვენთან კიდევ ერთ წელიწადს დარჩებიან.

● *არ გეშინიათ, რომ შეიქმნება ისეთი გუნდი, რომელსაც მხოლოდ ფული აინტერესებს?*

— თქვენ რა, ფული არა გჭირდებათ? ფული ყველას უნდა. პროფესიონალი ფეხბურთელები მხოლოდ ფულისთვის თამაშობენ. მათ არასოდეს ვაწყუნინებდი ხოლმე. იმ კლუბებში, რომლებსაც ვხელმძღვანელობდი, ისინი ყოველთვის უზრუნველყოფილნი იყვნენ.

იმის გამო, რომ ტულის კლუბს წელს დაარსებიდან 40 წელი შეუსრულდა, იგი კონკრეტულ ამოცანას ისახავს, გავიდეს რუსეთის უმაღლეს დივიზიონში.

### როცა დოპინგის გამოყენების საფრთხე იზრდება

იმ პირობებში, როცა მატჩების რაოდენობის სისტემატურად ზრდის გამო ფეხბურთელებს უდიდესი დატვირთვა აქვთ, ძალზე იზრდება აკრძალული სტიმულატორების გამოყენების საფრთხე. ამის საწინააღმდეგოდ ფიფამ კამპანია დაიწყო.

— ჩვენ ვაფრთხილებთ ყველას, — განაცხადა ფიფას სამედიცინო კომიტეტის ხელმძღვანელმა მიშელ დ'ოგმა. განზრახულია ფეხბურთელების როგორც ტრადიციული ტესტირების გაგრძელება, ასევე მათი სისტემატური შემოწმება ვარჯიშის დროს.

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ იდეალურ ვარიანტში ფეხბურთელმა წელიწადში 40 მატჩზე მეტი არ უნდა ითამაშოს, ახლა კი ძალიან ბევრი ამაზე ორჯერ მეტ შეხვედრას ატარებს. ამდენად, დ'ოგი სერიოზულად შიშობს, რომ დოპინგის გამოყენების საფრთხე გაიზრდება. ამავე დროს, თუმცა დოპინგზე ხშირად არის ლაპარაკი, მისი დამტკიცება ძალიან ძნელია. ასე, მაგალითად, სტეროიდების გამოყენების ფაქტი მხოლოდ ერთხელ დადასტურდა. 1996 წელს „ჩავარდა" საფრანგეთის კლუბ „ლილის" მოთამაშე დავიდ გარსონი. ამავე დროს, ფიფა თვლის, რომ საკმაოდ იოლია ზოგიერთი სტიმულატორის გამოყენების დამალვა. ამიტომ ფიფას განზრახული აქვს სკანდინავიაში შემუშავებული განსაკუთრებული ტესტების გამოყენება.

### პირადი ბიზნესი ამჯობინა

ბრაზილიელი მცველი ჟულიო სეზარი 1994 წლიდან წარმატებით თამაშობდა დორტმუნდის „ბორუსიაში", სადაც ორჯერ (1995 და 1996 წლებში) გერმანიის ჩემპიონი გახდა, 1997 წელს კი ევროპის ჩემპიონების თასს დაეუფლა.

ჟულიო სეზარს ძალიან აფასებდნენ, მაგრამ ამას წინათ, როცა გუნდი თურქეთში იმყოფებოდა, იგი შეკრებიდან სადღაც წავიდა, როგორც შემდეგ გამოირკვა, ჰამბურგს საკუთარი ბიზნესის საკითხებზე მიაშურა. ამან კლუბის ხელმძღვანელობის რისხვა გამოიწვია.

ახლა ჟულიო სეზარი ათენის „პანათინაიკოსს" დაუთმეს, სადაც სულაც არ უნდა დარჩეს ნაწყენი — კვირაში 30 ათას მარკას მიიღებს.


ანდრეას მიოლერი (მარჯვნივ) სიმპათიებით არის განწყობილი ვლადიმერ ბუტისადმი

### ბუტი — „დარბაზის მეფე"

ასე უწოდა გერმანიაში ჩატარებული „დარბაზის ტურნირების" შემდეგ ჟურნალმა „კიკერმა" დორტმუნდის „ბორუსიაში" მოთამაშე რუს ფეხბურთელ ბუტს. ამ შეჯიბრებაში სწორედ დორტმუნდის „ბორუსიამ" გაიმარჯვა.

● *როგორ დაგაჯილდოვეს, ტურნირის საუკეთესო მოთამაშე?*

— თასით და ჩეკით ორი ათას მარკაზე. ფული ჩერნობილის კატასტროფით დაზარალებულთა ფონდში გადავრიცხე. გერმანიაში ფეხბურთელები ხშირად ეხმარებიან ავადმყოფებს, ინვალიდებს, თავისი ქვეყნის შვილებს. მე კი გადავწყვიტე რუსებს დავხმარებოდი, რომლებიც ამ ატომურმა უბედურებამ ასე გაამწარა.

### რონალდოს ტრავმა ძველია, ორწლიანია

ასეთი დასკვნა გამოიტანა რონალდოს მკურნალმა ფიზიოთერაპევტმა ნილტონ პეტრონიმ. მისი სიტყვით, თავისი „ცნობილი" ტრავმა რონალდომ 1996-1997 წლების სეზონში მიიღო „ბარსელონაში". ექიმის აზრით, მას მძიმე შედეგები მოჰყვა, თუმცა მათი დაძლევა შეიძლება. პეტრონიმ მოიყვანა ბრაზილიელ ჟორჟინიოს მაგალითი, რომელიც გაცილებით უფრო მძიმედ იყო დაშავებული, მაგრამ განიკურნა.

— რონალდო მხოლოდ 22 წლისაა, მან გაცილებით უფრო მალე უნდა აღიდგინოს ჯანმრთელობა.

### რუსეთი — ანდორა — ვლადიკავკაზში

რუსეთის ფეხბურთის კავშირის გადაწყვეტილებით, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი რუსეთისა და ანდორის ნაკრებებს შორის 31 მარტს ვლადიკავკაზში გაიმართება. ახლა სპეციალისტების უპირველესი ამოცანა ვლადიკავკაზში სტადიონის საუკეთესოდ მომზადებაა, განათების სისტემისა და ტაბლოს გამართვა.

### ბუდისტია, მაგრამ ცოდვილია

განთქმულმა იტალიელმა ფეხბურთელმა რობერტო ბაჯომ ორი დღე რუმინეთში გაატარა. არა, იგი სათამაშოდ არ ჩასულა, ველურ იხვებზე და ბატებზე ნადირობდა, რომლებიც ჩრდ. რუმინეთის ჭაობიან ადგილებში მრავლად არის. ეს ადგილები ბაჯოს რუმინელმა მწვრთნელმა მირჩა ლუჩესკუმასწავლა და ნადავლიც დიდი იყო.

აქ ერთი რამ უნდა ითქვას: ბაჯო ხომ ბუდისტია, ეს რელიგია კი ამგვარ „გართობას" აშკარად არ იწონებს.

### რომარიოს მხოლოდ ნაკრები აინტერესებს

საუდის არაბეთის ერთ-ერთმა კლუბმა სულ 70-დღიანი კონტრაქტი შესთავაზა რომარიოს, რომელშიც 2 მილიონი დოლარის გადახდას აპირებდა, მაგრამ ბრაზილიელმა უარი განაცხადა. მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელმა ეს გადაწყვეტილება იმით დაასაბუთა, რომ იგი აპირებს ბრაზილიის ჩემპიონატში თამაშის გაგრძელებას, რათა მიაღწიოს თავის ოცნებას — დაუბრუნდეს ნაკრებს და 2000 წელს ავსტრალიაში ოლიმპიური ჩემპიონი გახდეს. ნაკრებში ადგილის გარანტიას კი, რომარიოს აზრით, მხოლოდ ბრაზილიურ ტურნირებში გამოსვლა იძლევა.

— საუდის არაბეთის კლუბის წინადადება ძალზე მაცდუნებელი იყო, მაგრამ მაინც არ დავინტერესებულვარ. ძალიან კარგად ვგრძნობ თავს „ფლამენგოში", არ ვაპირებ კონტრაქტის პირობების დარღვევას. საუდის არაბეთში რომ წავსულიყავი, ყველა მაშინვე დამივიწყებდა.



### რა ელის „უემბლის"

„უემბლი პიკის" კომპანიის დირექტორატმა მოაწერა რა ხელი ქაღალდებს, ბოლო მოეღო ხმებს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის მიერ ლეგენდარული სტადიონის გაყიდვის შესახებ. სარბიელი, რომელზეც ქვეყნის ნაკრებმა 1966 წელს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, ხოლო შემდეგ გამართა ევროპა-96-ის ფინალი, იყიდა ფეხბურთის ასოციაციის მიერ სპეციალურად დაწესებულმა კომპანია ENSDC-ს ჯგუფმა. სტადიონი 103 მილიონ გირვანქა სტერლინგად შეაფასეს ნაღდი ანგარიშსწორებით.

ეს კი, ლონდონის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ამ ეროვნული სტადიონის ძირფესვიანი რეკონსტრუქციის საშუალებას იძლევა. იგი შეიძლება მთავარ ელემენტადაც იქცეს კომპანიისა, რომლის გაშლას აპირებს ინგლისი 2006 წლის მსოფლიო პირველობის ფინალური ტურნირის ჩატარების უფლებისათვის. სტადიონის მოდერნიზაცია 320 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაჯდება და ნაწილობრივ ბრიტანეთის ეროვნული ლატარიით დაფინანსდება.

*სურათზე: „უემბლის" რეკონსტრუქციის შემდეგ შეიძლება გაქრეს ცნობილი ტყუპი-კოშკი.*

# „რაც მე ჩირქს მცხებენ!“

## არგენტინულ საჭადრაკო ჟურნალში გამოქვეყნდა ვრცელი ინტერვიუ მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვთან

– ჩვენს დროში მსოფლიო ჩემპიონს არავინ სცემს პატივს. მახსოვს ჩემი ახალგაზრდობის დრო, როცა მსოფლიო ჩემპიონი ანატოლი კარპოვი იყო. მას რეალურად არავინ აკრიტიკებდა, ყველა აფასებდა მის წოდებას და მიღწევებს. რაც შემეხება მე, ყველა მსოფლიო ჩემპიონს გადავაჭარბე ჩემთვის ნასროლი ჭუჭყისა და მოცხებული ჩირქის რაოდენობით. ამ მხრივ იოლი სამიზნე ვარ, იციან მათ დონემდე ბრძოლის დროს არასდროს დავეშვები.

● ***თუკი თქვენ უახლოეს სუპერტურნირებში გაიმარჯვებთ, როგორ ფიქრობთ, გულშემატკივრებს აღარ აადელვებთ ალექსეი შიროვთან მსოფლიო პირველობაზე მატჩის საკითხი?***

– შესაძლოა ასეც იყოს. უნდა აღვიდგინო მსოფლიოში უძლიერესი მოჭადრაკის რეპუტაცია. ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. თუმცა არის შიროვთან მატჩში შეხვედრის შესაძლებლობებიც.

● ***თქვენ სადმე სპეციალურად მოემზადებით?***

– მთელი წელიწადი ვემზადებოდი და არსად ვთამაშობდი. უამრავი სამუშაო ჩავატარე და მთლიანად ვერ გამოვიყენე. დიახ. ზოგი რამ კრამნიკთან ბლიც მატჩში მაინც გამომადგა. ნიმცოვიჩის დაცვაში კრამნიკმა ხუთივე პარტია წააგო.

● ***„უამრავი სამუშაო“, თქვენ რომ ახსენეთ, კასპაროვის განთქმულმა ანალიტიკოსების არმიამ ჩაატარა?***

– ჩემი „ანალიტიკოსების არმიაზე“ ლაპარაკი სრული სისულელეა! ხუთი წლის განმავლობაში ერთადერთი მწვრთნელი მყავს, დიდოსტატი იური დოხოიანი, რომელიც ძირითადად კომპიუტერითაა დაკავებული. განა დიდად ვისარგებლე სხვების მიერ ჩატარებული ანალიზით? განა ხშირად ვიყენებ სხვების სვლებს? ახლა შეხედეთ ჩემთან მომუშავეებს, როგორ გაუმბოჯესდა მათი რეიტინგი. ბლომად მოიმატა ქულები ზურაბ აზმაიფარაშვილმა. ბელიავსკი, ჩემთან რომ დაიწყო მუშაობა, უკვე ძალიან ძლიერი დიდოსტატი იყო, სხვებსაც შეხედეთ – ტიმოშენკოს, ვლადიმიროვს, დოლმატოვს, გიორგაძეს – მას შემდეგ, რაც ჩემთან მუშაობდნენ, მათი რეიტინგი საგრნობლად ავარდა...

● ***ზოგი გვთავაზობს ისეთ ჭადრაკს, სადაც ფიგურები სხვადასხვა პარტიაში სულ სხვადასხვა საწყის პოზიციებზე განლაგდებიან. ეს გარემოება ხომ არ გაღელვებთ? (ჟურნალისტს მხედველობაში აქვს კასპაროვის კრიტიკა დიდოსტატ ვალერი სალოვის მიერ, რომელიც წერს, რომ მისი წარმატებები საგანგებო საშინაო მომზადებით არის განპირობებული. ამას ბოლო მოეღება, თუკი ფიგურების განლაგება ყოველთვის თავიდანვე შეიცვლება).***

– სალოვს თავში ყველაფერი წესრიგში არა აქვს. ასეთ ჭადრაკშიც ყველას მოვუგებ. ჩემი პარტიების უმრავლესობა დებიუტში სულაც არ მომიგია. სასაცილოა მტკიცება, რომ „გარის სურს ყველა პარტიაში შინ მომზადებული ვარიანტებით გაიმარჯვოს“. დაწვრილებით გავარჩიე კარპოვთან ნათამაშევი ყველა პარტია და აი, რა გახდა ცხადი: მან უფრო მეტი შეხვედრა მოიგო დებიუტში მიღებული უპირატესობით, ვიდრე მე. ჩემი გამარჯვების უმეტესობა მიტელშპილშია მოპოვებული, ტაქტიკის წყალობით. თუკი დავიწყეთ თამაში ახლებური წესებით, როცა ფიგურების განლაგება თავიდანვე შეცვლილია, ნახავთ, რა შედეგები მექნება, ყოველ ათ პარტიაში ცხრას მოვიგებ, კიდევ უკეთეს შედეგებს მივაღწევ, ვიდრე ეს 80-იანი წლების შუახანებში მქონდა. ასეთ თამაშში უპირატესობა უფრო ძლიერ მოჭადრაკეს აქვს. მე კი ყველაზე ძლიერი მოთამაშე ვარ, განსაკუთრებით ტაქტიკის სფეროში. სწორედ აქ არის ჩემი უპირატესობა ყველასთან, ანანდის გამოკლებით. „ფიშერის ჭადრაკში“ თავიდანვე ბევრი ტაქტიკაა. სიამოვნებით ვითამაშებ ასეთი ტიპის ჭადრაკსაც.

● ***როგორ ფიქრობთ, ბევრი შეჯიბრება მოეწყობა თქვენი და კრამნიკის მატჩის მსგავსად ელვისებურ ჭადრაკში?***

– ეჭვგარეშეა. ვფიქრობ, ინტერნეტით პირდაპირ ტრანსლაციას დიდი მომავალი აქვს.

● ***როგორ დაახასიათებდით ამ მატჩის პარტიებს?***

– მატჩში ძლიერ ზეწოლას ვგრძნობდი. ჩემი საბრძოლო მზადყოფნა აშკარად ცუდი იყო, ჩემზე ამხელა სათამაშო პაუზამ ძალზე უარყოფითად იმოქმედა. კრამნიკი ძალზე მტკიცე მოჭადრაკეა, მას ნერვები არა აქვს. ეტყობა, მას და ანანდს შეუძლიათ წყნარად წარმართონ სვლები, არავითარი მღელვარება არ იგრძნონ. მატჩის დასაწყისში იგი თითქმის გავანადგურე, უამრავი მოსაგები პოზიცია მქონდა. ანგარიში შეიძლებოდა 5:0 ყოფილიყო, მაგრამ ზოგჯერ უხეშად ვცდებოდი. პარტიების დეფიციტი ძალზე სახიფათოა, ამაში მატჩის მსვლელობისას დავრწმუნდი. დებიუტში მშვენიერი იდეები მქონდა, კარგი ტაქტიკაც და ენერგიაც, მაგრამ პრაქტიკის უქონლობის გამო სათამაშოდ მზად არ ვიყავი. შემეძლო 5 ჩინებული სვლა გამეკეთებინა, შემდეგ კი მძიმე შეცდომა მომსვლოდა.

● ***რა გეგმები გაქვთ 1999 წლისთვის?***

– ვეიკ-ან-ზეეს შემდეგ თებერვალში ლინარესის სუპერტურნირში ვითამაშებ (სადაც გამოსვლას აპირებს მსოფლიოს ყველა წამყვანი მოთამაშე, ანატოლი კარპოვის გარდა, რომელიც არ თამაშობს ტურნირებში კასპაროვის მონაწილეობით). ივნისში, ლეონში (ესპანეთი) გაიმართება ჩემი მატჩი ვიშვანათან ანანდთან „წინ წაწეულ ჭადრაკში“, სადაც მოჭადრაკეს უფლება აქვს თამაშში კომპიუტერი გამოიყენოს.

მოგვიანებით გამოჩნდა ცნობა, რომ მაისში კასპაროვი „თითქმის აუცილებლად“ ითამაშებს სარაევოს დიდ საერთაშორისო ტურნირში.

არგენტინის შემდეგ კასპაროვი ინგლისში გაემგზავრა, სადაც ერთდროული თამაშის რამდენიმე სეანსი ჩაატარა, მათ შორის ერთი საქველმოქმედოც. – სკოლას, რომელშიც განსაკუთრებით ღარიბი ბავშვები სწავლობენ, 75 ათასი გირვანქა სტერლინგი გადაურიცხა.



## რა ხდება ქვეყანაზე

### „სექსი განაპირობებს ტესტოსტერონს, მაგრამ ამდენს?“

ცნობილი ამერიკელი სპრინტერი დენის მიტჩელი ირწმუნება, რომ მისი დოპინგტესტის დადებითი შედეგი განაპირობა სექსმა და ლუდმა.

ამის გამო მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია კვლავ აპირებს განიხილოს ბარსელონის ოლიმპიადის ბრინჯაოსმედალოსან მიტჩელის საქმე, რომელიც შარშან კვლავ დაადანაშაულეს აკრძალული პრეპარატების ხმარებაში. გაზეთები იტყობინებიან, რომ იააფის (მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია) სამედიცინო კომიტეტის წევრებმა ასეთი გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, როცა აშშ-ს მძლეოსნობის ფედერაცია არ დაეთანხმა მიტჩელის ორწლიან დისკვალიფიკაციას და გაამართლა იგი.

საქმე ისაა, რომ არაფრად ულირდა სპრინტერს თავისი ქვეყნის ფედერაციის სააპელაციო ჟიურის წევრები თავის უდანაშაულობაში რომ დაერწმუნებინა. ორგანიზმში უჩვეულოდ ბევრი ტესტოსტერონი მან იმით ახსნა, რომ დოპინგტესტის წინა ღამეს... სექსუალურ აქტებს ლუდიც ბლომად მიაყოლა. კერძოდ, ამერიკელმა განაცხადა, რომ ღამის განმავლობაში ოთხი სქესობრივი აქტი და ხუთი ბოთლი ლუდი მოითავა.

საეჭვოა, რომ ამ უტყუარმა საბუთმა დააკმაყოფილოს იააფ-ის ჩინოსნები. „დეილი ტელეგრაფს“ მოჰყავს ბრიტანეთის მძლეოსანთა გუნდის ექიმის ციტატა, რომელიც ირწმუნება: სექსის შემდეგ ორგანიზმში შეიძლება ტესტოსტერონის მომატება, მაგრამ ჩვეულებრივი ნორმის ფარგლებში. მიტჩელს კი, „სასიყვარულო ღამის“ შემდეგ იგი გაცილებით მეტი ჰქონდა.

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

### გენერალ ლებედის პრეს-ცენტრი უარყოფს

კრასნოიარსკის გუბერნატორ გენერალ ალექსანდრ ლებედის პრეს-ცენტრის მიერ გამოქვეყნებული ცნობით, ლებედის მიერ წარმოთქმულ სიტყვას „გოპ-სტოპ“ რუსეთის კრივის ფედერაციისადმი რაიმე გამოხდომა არ ჰქონია. ლაპარაკი ეხებოდა მხოლოდ ერთ პიროვნებას – რუსეთის კრივის ფედერაციის პრეზიდენტს, კრასნოიარსკელ საქმოსანსა და გუბერნატორის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს ანატოლი ბიკოვს.





12



30

**თარაზულად:** 3. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი. 5. „მიდლსბროს“ ნახევარმცველი, 7. კურორტი ლიტვაში, 8. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 9. სპორტული იარაღი, 13. სპორტის სახეობა, 14. სრულიად ებრაელთა მსოფლიო სპორტული თამაშები, 16. ქაღალდის ფული, 19. მსოფლიოს სპორტსმენთა უდიდესი ფორუმი, 23. მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანა ფეხბურთში, 26. რუსი მოციგურავე ქალი, ექვსგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 27. წარსულში ცნობილი ქართველი ხელბურთელი, 29. საქართველოს ტელევიზიის 1 არხის პროგრამა, 31. ჭადრაკის ფიგურების ხელოვნურად შედგენილი განლაგება, 32. ფრანგი ველომრბოლი, „ტურ დე ფრანსის“ ხუთგზის გამარჯვებული, 33. ერთგვარი დარტყმა კრივში.

**შვეულად:** 1. გერმანელი ფიგურული მოციგურავე ქალი, 1984 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ერთეულთა თანრიგში, 2. ბრაზილიის საფეხბურთო კლუბი, 3. გამარჯვების ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში, 4. ქართველი მოჭადრაკე ქალი, 5. თავდებობა, საწინდარი, 6. უკრაინელი მოჭადრაკე, დიდოსტატი, 8. ლეგენდარული ეთიოპიელი მძლეოსანი, 10. ოლიმპიური სტადიონი მეხიკოში, 11. მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში ვაჟთა შორის (1921-27 წ.წ.), 12. თბილისელი ხელბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი (ფოტო), 14. ფრანგი კინომსახიობი ქალი, 15. ფრანგი სამთო-მოთხილამურე, გრენობლის ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონი, 17. სათიბი იარაღი, 18. იალქნის სამაგრი მაღალი ბოძი, 20. რუსი ტანმოვარჯიშე ქალი, ცხრა ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი, 21. ცხენების შეჯიბრება ჭენებაში გრძელ მანძილზე, 22. ძველებური საბრძოლო სატყორცნი იარაღი, 23. ესპანეთის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მეკარე, ევროპის 1984 წლის ვიცე-ჩემპიონი, 24. წარსულში გამოჩენილი რუსი ტანმოვარჯიშე, 25. მოკრივის მდგომარეობა ძლიერი დარტყმის მიყენების შემდეგ, 28. საფეხბურთო კარის ნაწილი, 30. ცნობილი იტალიელი მწვრთნელი ფეხბურთში (ფოტო)

*შეადგინა ბიძინა წირქვაძე*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 1. რეკორდი, 3. კორაჩი, 4. ტატამი, 6. ჩოჩიშვილი, 10. მედვედი. 12. ატროფია, 17. კარე, 18. ლაზიერი, 19. სენა, 20-21. საბონისი, 21. იაკუშევი, 22. ეივე, 23. გრიშინი, 24. არხი. 25 ირიარტე, 28. მალდინი, 30. ბოტვინიკი, 31. ათლეტი, 32. „როტორი“, 33. აბაშიძე. **შვეულად:** 1. „რიბოკი“, 2. იტალია, 3. კანოე, 5. იარნი, 7-21. შახლინი, 8. ბეკენბაუერი, 9. ფრანჩესკოლი, 10. მიატოვიჩი, 11. დრექსლერი, 13. ფესტივალი, 14. „აინტრახტი“, 15. ბარიერი, 16. „დრაკონი“, 21. იაშვილი, 26. რურუა, 27. ემოცია, 28. მეკარე, 29. ნარდი.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

## გაიოზ თათარაშვილი



გარდაიცვალა სპორტის ოსტატი, ვეტერანი ფეხბურთელი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ფეხბურთში გაიოზ თათარაშვილი.

მთელი თავისი ცხოვრება იგი კეთილსინდისიერად ემსახურებოდა თაობებს და დიდი წვლილი შეჰქონდა სპორტსმენი ახალგაზრდების აღზრდა-დაოსტატებაში. წლების განმავლობაში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ფიზიკური აღზრდის დარგში. სიცოცხლის ბოლო წლებში მუშაობდა განათლების სამინისტროს ეროვნულ თავდაცვით ცენტრალურ სასპორტო სკოლაში, სადაც თავის ცოდნასა და გამოცდილებას დაუზოგავად ახმარდა სკოლის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრას.

შესანიშნავი მოქალაქის და სპეციალისტის გაიოზ თათარაშვილის ხსოვნა არასოდეს წაიშლება მათ გულებში, ვინც მას ახლოს იცნობდა.

ეროვნული თავდაცვითი სასპორტო სკოლა

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ვეტერანი კალათბურთელი, ცნობილი სპორტული ჟურნალისტი და კომენტატორი

ნოდარ (აშხენ) გიორგობიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და ჭიდაობის ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებენ ვეტერან ფალავნებს ნოდარ და აკაკი ხოხაშვილებს დედის გარდაცვალების გამო.

თბილისის მერიის სპორტის სამმართველო და საქართველოს მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი“ თანაუგრძნობს ნოდარ და აკაკი ხოხაშვილებს დედის გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაუგრძნობს ყოფილ თანამშრომელს, ჟურნალისტ დავით ჰელიძეს დედის გარდაცვალების გამო.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)



**შამათი 2 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. კf8! – 2. ეc5X. 1. ...ეc6 2. ეd4X.
1. ...კd6 2. მ:f6X. 1. ...ეd6 2. მc7X.
1. ...კ:c4 2. კg2X.
წინა ნომერში საჭადრაკო დაფის a6 უჯრაზე უნდა იყოს შავი ეტლი.

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდამონიძე